№196 (12 266)
21 აგვისტო სამშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

საფეხბურთო ნაკრები დღეს საკალათბურთოს უქომაგებს

ძალზე იშვიათია, როცა სპორტის სხვადასხვა სახეობის ჩვენი ორი ნაკრების ორი გასვლითი მატჩი ერთმანეთის მიჯრითაა. სწორედ ასეთი იშვიათი მოვლენაა დღეს და ხვალ ბენილუქსში. დღეს ჩვენი საკალათბურთო ეროვნული ნაკრები დაუპირისპირდება ლუქსემბურგს, ხვალ კი უკვე ქვეყნის მთავარი საფეხბურთო გუნდები ეთამაშებიან ერთმანეთს. კალათბურთელებს კლაუს ტოპმიოლერის გუნდი უქომაგებს.

დღეს, თბილისის დროით 21:30 საათზე საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები 2007 წლის ოფიციალური მატჩების ციკლს გახსნის. ჩვენი გუნდის შემადგენლობაში არ იქნებიან ვლადიმერ ბოისა და ნიკა ცქიტიშვილი, რომლებიც ნაკრებს სავარაუდოდ ავსტრიასთან მატჩისთვის შეუერთდებიან. სამაგიეროდ ჩვეულ ფორმაშია ზაზა ფაჩულია, რომლის მეურვეობა ლუქსემბურგის ნაკრებში დაბრუნებულ ჩხუბისთავ ელვინ ჯონსს მოუწევს. იმედი დავიტოვოთ, მათი დაპირისპირება შარშანდელისგან განსხვავებით მშვიდობიანად ჩაივლის.

იმის იმედიც გვაქვს, რომ თამაშზე ლუქსემბურგში მყოფი ფეხბურთელთა ნაკრების დასწრება ქართველი კალათბურთელებისთვის დამატებითი სტიმული იქნება.

გუშინ, ნაშუადღევს, ლუქსემბურგში სასტუმრო "ნოვოტელში" ჩვენი საფეხბურთო ნაკრების ტექნიკური პერსონალი ეროვნულში გამოძახებულ "მერანის" მეკარე რევაზ თევდორაძესთან ერთად ჩაფრინდა. "ნოვოტელში" მათ მწვრთნელები დახვდნენ კლაუს ტოპმიოლერის ხელმძღვანელობით. ვარჯიშამდე ტოპმიოლერის გუნდში გამოძახებული 20 ფეხბურთელიდან 16 შეიკრიბა. უკვე გაცნობეთ, რომ ავადმყოფობისა და ტრავმის გამო მცველები, ლაშა სალუქვაძე და ზაალ ელიავა გამოგვაკლდნენ. ადგილობრივი დროით 17 საათისთვის ჩვენმა გუნდმა ავტობუსით დედაქალაქის სიახლოვეს მდებარე პატარა ქალაქ ინგლისტას მიაშურა. 18 საათზე კი ვარჯიში გაჩაღდა. წვრთნამ საათზე მეტხანს გასტანა.

ვარჯიშის შემდეგ, ნაკრებმა სასტუმროს მიაშურა. გუნდს გუშინ საღამოს უკრაინაში მოასპარეზე ოთხი ლეგიონერი - დავით კვირკველია, ლადო ბურდული, ვასილ გიგიაძე და ოთარ მარცვალაძე შეუერთდნენ.

აი, ასეთი იყო ეროვნული ნაკრების შეკრების პირველი დღე ლუქსემბურგში. დანარჩენს კი ხვალ გაცნობებთ.

საქართველოს ნაკრების წარდგენა 10-11

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუქსემბურგი-საქართველო

ლუქსემბურგი გენერალურისთვის ემზადება

ლუქსემბურგელები საქართველოს ნაკრებთან გასაჯიბრებლად გამალებით ემზადებიან. უცხოური წყაროების მტკიცებით, ლუქსემბურგის ნაკრების თავკაცი **გი ჰელერსი** ერთ-ერთი მწვრთნელთაგანი ყოფილა, რომელსაც **კლაუს ტოპმიოლერი** კვალიფიკაციის ასამაღლებლად ლექციებს უკითხავდა. იმედია, ამჯერად ტოპმიოლერის გუნდი თავისი თამაშით წაუკითხავს ლექციას ჯუჯა ქვეყნის წარმომადგენლებს. თუმცა ეს ოთხშაბათს ვნახოთ, მანამდე კი მეტოქის ბანაკში არსებულ ვითარებაზე გეტყვით.

ზაფხულის პაუზის შემდეგ ჰელერსის გუნდი პირველად 12 აგვისტოს შეიკრიბა და 15-ში ლევერკუზენის "ბაიერთან" ამხანაგური მატჩი გამართა. ჰელერსის გუნდმა ლევერკუზენელთა წინააღმდეგ 4-5-1 განლაგებითა და შემდეგი შემადგენლობით ითამაშა:

იუბერტი (46. ჟილე) – ბიგარდი (46. პლაინი), კინცინგერი, ჰოფმანი, მუტჩი (46. პფაიფერი) - და მოტა (46. დე სოუზა), პეტერსი, პაიალი (46. საბოტიჩი), ლომბარდელი (46. ფერეირა), კოლე - კიტენგი (65. ჰუსი).

ლუქსემბურგი "ბაიერს" მე-4 წუთზე და **მოტას** მიერ გატანილი გოლის წყალობით უგებდა, მაგრამ ლევერკუზენელებმა ამის შემდეგ სამჯერ დალაშქრეს **ჰელერსის** კარი და 3:1 მოიგეს.

ლუქსემბურგულ ვებგვერდებზე 22 აგვისტოს ამხანაგურ მატჩთან დაკავშირებით ძალზე მწირი ცნობებია. როგორც ირკვევა, ლუქსემბურგელები ქართველებთან მატჩისთვის იმავე შემადგენლობით ემზადებიან. თუმცა, ნაკრებში გამოძახებულთა სრული შემადგენლობა ვერსად მოვიძიეთ, იმედია, იქაური ვებგვერდები დღეს, მატჩის წინა დღეს მეტ ინფორმაციას გამოაქვეყნებენ ქართველებთან ოთხშაბათის თამაშზე.

"ბაიერთან" თამაში კარგად დავიწყეთ, მაგრამ ჩემი გუნდი ერთ გოლს დასჯერდა. ფეხბურთელები მოდუნდნენ, შეცდომები დაუშვეს, რაც მეტოქემ არ გვაპატია. შესარჩევ ციკლს სექტემბერში განვაახლებთ და მანამდე ერთი, 22 აგვისტოს ამხანაგური თამაში გველის. ასე რომ, საქართველოსთან მატჩი ჩვენთვის ერთგვარი გენერალური რეპეტიციაა და კარგად უნდა წარმოვჩნდეთ", - აცხადებს ლუქსემბურგის ნაკრების თავკაცი.

გაცნობებთ იმასაც, რომ ლუქსემბურგი ფიფას რეიტინგში 174-ეა. ამ გუნდს 8 და 12 სექტემბერს აქვს შესარჩევი ციკლის მატჩები. ჰელერსის გუნდი ჯერ სლოვენიას უმასპინძლებს, მერე კი ბულგარეთს სტუმრად ეთამაშება.

22 აგვისტოს, ლუქსემბურგისა და საქართველოს ეროვნული ნაკრებების ამხანაგური მატჩი "იოსი ბარტლის" სახელობის სტადიონზე, ადგილობრივი დროით 20 საათზე (22 საათი თბილისის დროით) დაიწყება. შეხვედრას ჩრდილოირლანდიელი მსაჯები მოემსახურებიან. მთავარი არბიტრი **დევიდ მალკოლმია**, თანამსაჯები კი **ჯონ მაკდაუელი** და **ენდი რეგანი**. ბილეთის ფასი 10 ევროა. ბუკმეიკერებმა ფსონები გამოაქვეყნეს. აქაც აშკარად ჩანს, რომ ამ წყვილში ფავორიტი საქართველოა. ჩვენი ნაკრების მოგება 1.35-ა, ლუქსემბურგისა და 6.5.

დავით ცაბაძე

დიმიტრი მაღალი კაცია

დიმიტრი მაღალი კაცია, მხრებს ისე ძალდაუტანებლად არხევს, შურიანებს გული ეთუთქებათ და... მას ძალიან უყვარს, როცა ქალთან ურთიერთობაში უპირატესობას მოიპოვებს. ასეთია მთავარი გმირი **გურამ დოჩანაშვილის** მოთხოვნობაში "დიმიტრი მაღალი კაცია".

მაღალი კაცია **დიმიტრი ტატანაშვილიც**, თბილისის "ამერის" მრავალმხრივი ფორვარდი, ვისზეც ზოგი ამბობს, რეჟიმისტი რომ იყოს, უფრო მაგარი იქნება, მაგრამ ისეთი დონ ჟუანია...

"ყველაფერი ეს ჭორია, რეჟიმის დარღვევა არ მიყვარს. სხვა საქმეა, როცა გამონახავ დროს განტვირთვისთვის, ეს ყველა სპორტსმენისთვის აუცილებელია, ჩემი დონჟუანობა კი მოგონილია", - გვითხრა ტატანაშვილმა.

ის წინა სეზონში გახდა "ამერის" ერთ-ერთი საკვანძო ფეხბურთელი. გამორჩეული კი მანამდეც იყო თავისი ტექნიკით, პლასტიკითა და თამაშის არაორდინალური მანერით. ტატანაშვილი აწონილია, მაგრამ სულაც არ არის თავბურთელი თუ ტარანის ტიპის თავდამსხმელი. ის დრიბლიორიცაა, ბურთის კარგად მიმღები და მთრეველიც, კიდევ მეგოლე - შარშანდელ სეზონში ხშირად შეცვლებზე უწევდა თამაში და მიუხედავად ამისა, 14 გოლი გაიტანა - 11 ჩემპიონატში და 3 თასზე.

"ტრავმების გამო, 90 წუთის სათამაშოდ მზად არ ვიყავი და ამიტომაც მათამაშებდა მწვრთნელი შეცვლებზე".

ყველაზე საჭირო გოლი კი ტატანაშვილმა საქართველოს თასის ფინალში გაიტანა - "ამერმა" იმ ერთადერთი გოლით მოუგო "ზესტაფონს".

"არ ვეთანხმები იმ აზრს, რომ "ამერი" უფრო დაცვით ფეხბურთს თამაშობს, ვიდრე შემტევს. უბრალოდ, წლევანდელ თასის ფინალში ისე მოხდა, რომ პირველ ტაიმში "ზესტაფონს" კარგად წაუვიდა თამაში და ჩვენ მეტწილად თავის დაცვა გვიწევდა. რაც შეეხება გოლს, პასი სულიკო დავითაშვილმა მომცა და ასეთ გადაცემას იმ მომენტში ველოდი, შეიძლება ითქვას, წინასწარ წავიკითხე ყველაფერი. "აბრეზას" კარგად ეხერხება ასეთი პასები".

ტატანაშვილი 23 წლისაა და კიდევ *შერჩა დრო წინსვლისთვის. "ჩემი უმთავრესი ნაკლი ალბათ არასათანადო ფიზიკური მომზადებაა. ეს იმის ბრალიცაა, რომ ტრავმებმა შემიშალა ხელი. სტაბილურობისთვის უწყვეტი ვარჯიშია საჭირო. ძალისმიერ ორთაბრძოლებში ძლიერი უნდა ვიყო, რისთვისაც უფრო მეტი კუნთის მასა მჭირდება"*.

მას ისეთი მონაცემები აქვს, ვინძლო ეროვნულ ნაკრებისთვისაც საინტერესო ფეხბურთელი შეიქნეს. *"ეს სავსებით შესაძლებელია. ახლა ისეთ ასაკში ვარ, რაც ფეხბურთელისთვის პიკია. ყველანაირად ვეცდები, თამაშს მოვუმატო. აგრესიულობა მაკლია და ეს ნაკლი უნდა გამოვასწორო"* ,- გვპირდება ტატანაშვილი.

"ამერმა" ზედიზედ ორჯერ მოიგო საქართველოს თასი და უეფას თასზე ისე თამაშობს, რომ თავი არავისთან შეურცხვენია. წლეულს "ამერი" პოლონეთის ვიცე-ჩემპიონ "ბელხატოვს" გადაეყარა, სტუმრად 0:2 წააგო, შინ 2:0 მოიგო და პენალტების სერიაში დამარცხდა. თბილისურ მატჩში ამერელთაგან მეორე ბურთი ტატანაშვილმა გაიტანა, ისევ "აბრეზას" პასით, თუმც ამჯერად თავურით - ეფექტური გოლი გამოდგა. პენალტებში კი ისე ჩანდა, "ამერი" ამისთვის, ცოტა არ იყოს, მოუმზადებელი იყო. ამერელთაგან პირველი პენალტი იმან დაარტყა, ვინც გუნდში პენალტისტად არ ითვლება და აკი გააცუდა კიდეც.

"პენალტებისთვის მოუმზადებლები როდი ვიყავით, ვარჯიშებზე ამ კომპონენტზე ვმუშაობდით. უბრალოდ, პირველი 11-მეტრიანის დარტყმის სურვილი ჩვენმა კაპიტანმა გიორგი დავითნიძემ თვითონ გამოთქვა".

ტატანაშვილს მიაჩნია, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლაში "ამერის" უმთავრესი კონკურენტი თბილისის "დინამო" იქნება, სხვებზე უკეთესი შემადგენლობა და პირობები აქვსო. მას ისიც ვკითხე, "ამერს" უეფას თასზე ვენის "რაპიდი" რომ შეხვედროდა, რომელმაც "დინამოს" თბილისში 3:0 მოუგო, რას გააწყობდა-მეთქი.

"ვფიქრობ, "ბელხატოვი" "რაპიდზე" უფრო ძლიერი გუნდია. პოლონეთში რომ გენახათ "ამერი"-"ბელხატოვის" დაპირისპირება, ამაში თქვენც დარწმუნდებოდით".

ჩემპიონობისათვის და ზედიზედ მესამე თასისთვის მებრძოლმა "ამერმა" ჩემპიონატის პირველ ტურში მოულოდნელად წააგო თბილისის "ლოკომოტივთან" 1:2. ტატანაშვილს ამ მარცხის მიზეზებზეც დავეკითხეთ და ისიც შევახსენეთ, თუ რა განაცხადა "ლოკომოტივი"-"ამერის" მატჩის შემდეგ ამერელთა მწვრთნელმა **გიორგი ჩიხრაძემ** - "ბელხატოვთან" 2:0-ით მოგებამ ალბათ თავბრუ დაახვია ჩემს ფეხბურთელებსო.

" საგოლე მომენტების ვერგამოყენების გამო დავისაჯეთ, თუმც შესაძლოა, ზედმეტად თავდაჯერებულებიც ვიყავით. მატჩის შედეგზე ლოკომოტიველი ***ირაკლი სამხარაძისა*** *და* ***ლევან ყენიას*** *კარგმა თამაშმაც იმოქმედა"*.

ფეხბურთი კამათის გარეშე არ არსებობს და ცხადია, კამათობენ "ამერზეც". ზოგს მიაჩნია, რომ "ამერი" ძალიან კარგი გუნდია, ზოგი ფიქრობს, რომ ჩიხრაძე ქართული "კატენაჩოს" ოსტატია, ზოგი ირწმუნება, რომ "ამერი" კიდევ უფრო შორს წავა, ზოგი კი იჩემებს, რომ ამ გუნდმა უკვე მიაღწია თავის ზღვარს. მაინც, რა ყაიდის გუნდია "ამერი", ნიადაგ რას უჩიჩინებს ჩიხრაძე ფეხბურთელებს?

"პირველ რიგში ბრძოლა!" ასეთია ტატანაშვილის ლაკონური პასუხი ამ კითხვაზე.

ვარჯიში-განტვირთვა-თამაში. ამის გარდა, სპორტსმენს სოციალური ცხოვრებაც აქვს და ტატანაშვილს ამაზეც ვკითხეთ.

- სახლში ყოფნა მიყვარს, ტელევიზორის ყურება და წიგნის კითხვა.
- ახლა რას კითხულობ? - ჩავეძიე დიმიტრის.
- შტეფან ცვაიგს.
- რატომ მაინცდამაინც ცვაიგს? იმიტომ, რომ ის ქალების ფსიქოლოგიას განსაკუთრებულად აკვირდება?
- ჰო, სხვა რამის გარდა ცვაიგს ამიტომაც ვკითხულობ.

დავით თავართქილაძე

ტატანაშვილი ამერის იერიშებს ხშირად უძღვება

ზესტაფონმა ქელიძე დაადასტურა



გიორგი ქელიძის (ნოდარის ძის) "ზესტაფონში" გადასვლა, ფაქტობრივად, რამდენიმე დღის წინათ გადაწყდა, გუშინ კი ეს ამბავი იმერულმა კლუბმა ოფიციალურად დაადასტურა. ორმხრივი მოლაპარაკებების შემდეგ გადაწყდა, რომ ქელიძე, რომელიც მოსკოვის "ლოკომოტივის" საკუთრებაა, "ზესტაფონის" შემადგენლობაში წლის ბოლომდე იჯარით ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ ბოლო პერიოდში იგი ლუგანსკის "ზარიაში" იყო განათხოვრებული.

ქელიძეს ახალი კლუბის შემადგენლობაში დებიუტი, სავარაუდოდ, ეროვნული ჩემპიონატის მესამე ტურში, 25 აგვისტოს ექნება, როცა "ზესტაფონი" ზუგდიდის "მგლებს" უმასპინძლებს. ბოლო პერიოდში ფეროელებს თავდასხმაში გარკვეული პრობლემები ჰქონდათ და წესით, ქელიძე "ზესტაფონის" ძირითად შემადგენლობაში უპრობლემოდ უნდა დამკვიდრდეს.

ლევან ჯანეზაშვილი

www.kazbegi.com

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. II ტური. მიმოხილვა

სულიკო დავითაშვილმა კიდევ ერთხელ "იფრინა"

II ტურის სიმბოლური ნაკრები



სულიკოს მეასე და მეოთხე მსაჯი საქმეში

ტურის რჩეული

სულიკო დავითაშვილი

...ნეტავ, ყოველთვის ასარჩევად გვქონდეს საქმე! აი, როგორც მეორე ტურში იყო, როცა ტურის რჩეულის გამოსავლენად ბევრი ფიქრი დაგვჭირდა. ჯერ მარტო "ვიტ ჯორჯია"-"ლოკომოტივის" შეხვედრის სამ მონაწილეს ექნებოდა პრეტენზია ამ "ნომინაციაზე" - **ალექსანდრე კვახაძეს, ირაკლი კლიმიაშვილსა** და **დავით გვარამაძეს**. ჩინებული შთაბეჭდილება დატოვეს აგრეთვე "ამერის" გამოცდილმა მარცხენაფლანგელმა **გიზო ჯელაძემ** და "ზესტაფონის" ბრაზილიელმა ლეგიონერმა **ვეეირამ**; ძალიან მოგვეწონა გორის "დილას" ახალგაზრდა მარჯვენა ნახევარმცველი **ნიკოლოზ სადაღაშვილი**; და მაინც - ტურის საუკეთესო ფეხბურთელად **სულიკო დავითაშვილი** ვცანით! 2007 წლის 17 აგვისტოს "აბრეზა" არასდროს დაივიწყებს: "დილასთან" მატჩში მეორე ტაიმის დასაწყისში **ბოლქვაძე-ჯელაძის** კომბინაცია დავითაშვილის ზუსტი დარტყმით დასრულდა. ეს კი "ამერის" ფორვარდისთვის საიუბილეო, მეასე გოლი იყო ეროვნულ ჩემპიონატში!

...29 წლის თავდამსხმელს "ლოკომოტივშიც" უთამაშია და "სიონშიც", "თბილისშიცა" და "ტორპედოშიც", მაგრამ, ეს უფრო ეპიზოდები იყო მის საფეხბურთო კარიერაში. სამაგიეროდ, "მერანი-91" და "ამერი" ყოველთვის ისე დარჩება, ფეხბურთელები რომ იტყვიან ხოლმე - "ჩემი გუნდიაო". ჰო, ეგრე იყო ავჭალაში - ექვსი წლის განმავლობაში "აბრეზა" ქომაგების კერპი გახლდათ. არადა, "ამერში" მისი ზოგიერთი დღევანდელი თანაგუნდელი იმ დროს ჯერ სკოლაშიც არ დადიოდა...

დავითაშვილი-ფეხბურთელი "მერანიდან" გავიცანით, "ამერში" "დაღვინდა", ოსტატად ჩამოყალიბდა და, ტრაფარეტულია, მაგრამ მაინც, აუცილებლად უნდა ვთქვათ: "მეორე სუნთქვაც" გაეხსნა. ეგ კი არა, ცოტა არ იყოს, წარმოუდგენლადაც გვეჩვენება მის გარეშე "ამერი"...

ტურის კურიოზი

კურიოზია, აბა რა არის, როცა მატჩის შემდეგ წაგებული და მოგებული (!) გუნდის ხელმძღვანელები უკმაყოფილებას ხმამაღლა გამოთქვამენ. უკმაყოფილებას, რა თქმა უნდა, არაკვალიფიციური მსაჯობის გამო. მსაჯიც ადამიანია და ბუნებრივია, ზოგჯერ საკამათო ეპიზოდში არასწორი გადაწყვეტილება მიიღოს. მაგრამ რა უნდა დავარქვათ იმას, როცა მსაჯისგან ორ-სამ მეტრში წესების დარღვევა ხდება და ის კი ამას "ვერ" ხედავს?

"ვიტ ჯორჯია"-"ლოკომოტივის" მატჩის პირველი ტაიმის მიწურულს სტუმართა კარში ასპროცენტიანი პენალტი რომ არ დაინიშნა, მასპინძელთა კლუბის ხელმძღვანელები მთელი შეხვედრის განმავლობაში სამართლიანად აპროტესტებდნენ; სტუმართა ფეხბურთელ-მწვრთნელ-უფროსობა კი იმით იყო გაღიზიანებული და უკმაყოფილო, თამაში ხშირად რომ ჩერდებოდა. მაგრამ მთავარი იმ მატჩში მაინც სხვა იყო: 63-ე წუთზე შეხვედრის მთავარმა მსაჯმა **ვასილ ელისაბედაშვილმა** ტრამვა მიიღო! ჰო, ესეთებიც ხდება ხოლმე და მსაჯის შეცვლაც ვიხილეთ: ელისაბედაშვილის ნაცვლად სასტვენი **ირაკლი ურუშაძემ** (სათადარიგო მსაჯი გახლდათ) მოიმარჯვა და ნერვული შეხვედრა ბოლომდე მიიყვანა. თუმცა ახალგაზრდა არბიტრს, ეტყობა, აღელვებამ და მოულოდნელმა სიახლემ სძლია, თორემ მატჩის ძირითად დროს ოთხს კი არა, სულ მცირე, ექვს-შვიდ წუთს დაამატებდა.

P.S. ამის მერე აღარავინ თქვას, მეოთხე მსაჯი რაში გვჭირდებაო...

გია ტუსაშვილი

ამერი–დილა	**3:2**
მგლები–მერანი	**1:0**
სპარტაკი–გორჯომი	**0:0**
ვიტ ჯორჯია–ლოკომოტივი	**1:0**
მესხეთი–ზესტაფონი	**0:2**
გათუმი–ოლიმპი	**0:1**
დინამო–სიონი	**გადაიდო**

საბურნირო მდგომარეობა

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ზესტაფონი	2	1	1	0	3-1	4
2. ვიტ ჯორჯია	2	1	1	0	2-1	4
3. გორჯომი	2	1	1	0	1-0	4
4. დინამო	1	1	0	0	2-0	3
5. ამერი	2	1	0	1	4-4	3
6. დილა	2	1	0	1	3-3	3
7. ლოკომოტივი	2	1	0	1	2-2	3
8. მგლები	2	1	0	1	1-1	3
9. ოლიმპი	2	1	0	1	1-2	3
10. მესხეთი	2	1	0	1	1-2	3
11. სპარტაკი	2	0	2	0	1-1	2
12. სიონი	1	0	1	0	1-1	1
13. გათუმი	2	0	0	2	0-2	0
14. მერანი	2	0	0	2	0-2	0

ბომბარდირები

ვეეირა (ზესტაფონი)	2
ტატანაშვილი (ამერი)	2
ბ. ჩიტაია (დილა)	2

ლოკომოტივის მასაჟისტის, ანზორ გაბიტაშვილის (მარჯვნივ) მცდელობა ამაო გამოდგა

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

დავით იმედაშვილი (20)



თამაზ პერტია

ლეგიონი

აფციაურის ბენეფისი აზერბაიჯანში

იმედაშვილის დებიუტი, კვარაცხელიას გაუქმებული გოლი

კოკა მიკუჩაძე შარშან ისრაელის რანგით მეორე დივიზიონ ლეუმიტ ლიგაში (ნაციონალური ლიგა) ასპარეზობდა, მან რაანანას "ჰაპოელის" მაისურით რამდენიმე მნიშვნელოვანი გოლიც გაიტანა. ქართველმა ფორვარდმა ლიგა არა, მაგრამ კლუბი კი შეიცვალა - ის ზემო ნაზარეთის (ნაცრატ ილიტ) "ჰაპოელში" გადავიდა. 26 წლის მიკუჩაძემ პირველივე მატჩში იხსნა ახალი კლუბი, ნაზარეთელები აკოს "ჰაპოელთან" გასვლით მატჩში 0:1-ს აგებდნენ, როცა მან ბოლოსწინა წუთზე გაიტანა და გაათანაბრა.

ბელარუსში თასის მეთექვსმეტედფინალური მატჩები გაიმართა. ბრესტის "დინამომ" სტუმრად 1:0 დაამარცხა პინსკის "ვოლნა". წინა დღით ხელოვნურსაფარიან მოედანზე ვარჯიშისას დაშავდა სტუმართა ახალი ფორვარდი **გია თოდუა** და მას მატჩის გამოტოვება მოუწია. არ უთამაშია არც **რომან გოგინაშვილს**. **ალექსანდრე შუბლაძის** მოგილიოვის "დნეპრმა" სტუმრად 2:1 მოუგო მე-3 დივიზიონის "ლიდას".

ლატვიაში, როგორც იქნა, ათამაშდა ჩემპიონი "ვენტსპილსი", წინა ტურში 5:0 მოგების შემდეგ, **ზურაბ მენთეშაშვილის** გუნდმა ამჯერად შინ "დინაბურგი" 6:0 გაანადგურა. ამ მატჩში "ვენტსპილსში" **დავით იმედაშვილის** დებიუტი შედგა. მან 69-ე წუთზე თანამემამულე შეცვალა. მენთეშაშვილმა პირველ ორ საგოლე კომბინაციაში მიიღო მონაწილეობა. **თამაზ პერტიას** გუნდში 64-ე წუთამდე ითამაშა **ლევან კორღალიძემ**, **როლანდ სვანიძე** სათადარიგო იყო. თამაშის მერე პერტიამ აღიარა, რომ ანგარიში მატჩის მიმდინარეობას შეესაბამება: *"ჩვენი ფეხბურთელების დიდი ნაწილი ჯერაც ეგუება უმაღლეს ლიგაში თამაშს. ძალიან ბევრი სამუშაო დაგვრჩა"*. "ვენტსპილსი" 35 ქულით მესამე ადგილზეა, "დინაბურგი" 14 ქულით ბოლოსწინაა. მეორე დღეს დუბლების ჩემპიონატში "ვენტსპილსმა" 5:0 დაამარცხა "დაუგავა". იმედაშვილმა შეუცვლელად ითამაშა და მეორე გოლი მე-19 წუთზე პენალტის ნიშნულიდან გაიტანა.

სანამ ლიტვის ჩემპიონატის 24-ე ტურის შესახებ მოგითხრობთ, გეტყვით, რომ ვილნიუსის "ვეტრას" აუტსადიერ "შილიუტესთან" 3:1 მოგება 0:3 მარცხით შეუცვალეს. მიზეზი დისკვალიფიცირებული ფეხბურთელის თამაშია, ასე რომ, ქართველი ახალწვეული **ვახტანგ კვარაცხელია** გატანილი გოლით ამაოდ დაშვრა. მიუხედავად ამისა, "ვეტრამ" ბოლო ტურშიც იმარჯვა, შინ "ჟალგირისი" 2:1 დაამარცხა. კვარაცხელია 85-ე წუთზე შეცვალეს. ჩემპიონმა და ლიდერმა "კაუნასმა" 2:1 მოუგო "ატლანტასს". ქართული ტრიოდან არ ითამაშა მხოლოდ **გივი კვარაცხელიამ**, **აკაკი ხუბუტია** და **ნუკრი მანჩხავა** სასტარტო შემადგენლობაში იყვნენ. ხუბუტიამ პირველ ტაიმში ყვითელი ბარათი მიიღო, იგი შესვენებაზე შეცვალეს. ყვითელი ბარათი მანჩხავასაც უჩვენეს, თუმცა ქართველი ნახევარმცველი მატჩის გმირი გახდა, 87-ე წუთზე მან გამარჯვების გოლი გაიტანა. უიმედო აუტსაიდერი "ინტერასი" შინ 0:5 დამარცხდა "ვილნიუსთან". მასპინძელთა შორის **სულიკო კაკაბაძემ** პირველი 68 წუთი ითამაშა, **გიორგი ფურცელაძე** განაცხადში არ იყო, სამაგიეროდ, გამოჩნდა **ბესიკ ჭილლაძე**, რომელსაც "სუდოვადან" წასვლის მერე არსად უთამაშია. ჭილლაძე ლიტვის პირველობის ბოლოადგილოსნის ახალი შენაძენია, ქართველი მცველი ამ მატჩში სათადარიგო იყო. "კაუნასი" 50 ქულით ერთპიროვნული ლიდერია, "ვეტრას" 32 ქულით მეექვსე ადგილი უკავია, "ინტერასი" 8 ქულით ბოლო, მეათეა.

მოლდოვაში 8 ტური მიილია, ჩემპიონ "შერიფს" კი მხოლოდ ხუთი მატჩი აქვს გამართული, ამიტომაც დნესტრისპირული გუნდი 13 ქულით ჯერ მხოლოდ მეოთხე ადგილზეა. მერვე ტურში "შერიფმა" სტუმრად 2:0 დაამარცხა კიშინოვის "რაპიდი". "შერიფის" კაპიტანმა **ვაჟა თარხნიშვილმა** 90 წუთი ითამაშა, მან ყვითელი ბარათი მიიღო. "ზიმბრუმ" სტუმრად 1:0 დაამარცხა "ტირასპოლი". **მამუკა ლომიძე** სათადარიგო იყო. დედაქალაქის კლუბი 15 ქულით მეორე ადგილზეა.

ირანის ჩემპიონატი ქართველთა გუნდების დაპირისპირებით დაიწყო. **აქვსენტი გილაურის** გუნდი "პეგა" შინ 0:2 დამარცხდა **ჯაბა მუჯირის** "სეფაჰანთან". გილაური 65-ე წუთზე შეცვალეს, ხოლო სტუმართა გუნდში არ უთამაშია **ჯაბა მუჯირს**.

აზერბაიჯანის ჩემპიონატის მეორე ტურში ბაქოს "ნეფთჩიმ" სტუმრად "გენჩლერბირლიგი" გაანადგურა - 6:2. **გიორგი ადამიამ** მასპინძელთა ტანჯვას წერტილი 90-ე წუთზე დაუსვა. ჩემპიონატის დებიუტანტი "სტანდარდი" "ინტერს" ესტუმრა და 1:1 დაუზავდა. სტუმართა რიგებში ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე **ვლადიმერ უგრეხელიძემ** ითამაშა, ექსსიონელის წაქცევისთვის დანიშნული საჯარიმო დარტყმიდან სტუმრებმა ანგარიში გახსნეს.

ქართველებით გაჯერებულმა "კაბალამ" შინ 2:0 სძლია "ბაქის". ამ მატჩში **თორნიკე აფციაურის** ბენეფისი შედგა, მან ჯერ თანაგუნდელს გაატანინა მატჩის 76-ე წუთზე, შემდეგ კი მე-80 წუთზე ჩემპიონატში მეორე გოლი 40-მეტრიანი რეიდის მერე გაიტანა. "ქარვანს" გასვლითი მოგება **რომან ახალკაცმა** მოუტანა, მან 55-ე წუთზე "ყარაბახის" გოლკიპერი მასთან პირისპირ გასვლის მერე დაამწუხრა - 1:0. მატჩის შემდეგ ახალკაცმა აღნიშნა, რომ გოლის გატანის მიუხედავად, საკუთარი თამაშით უკმაყოფილოა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

გამოდგებიან თურქები მგლებად?

უმაღლესი ლიგის დებიუტანტი ზუგდიდის "მგლები", შესაძლოა, უცხოელი ლეგიონერებით გაძლიერდეს. ამის შესახებ "ლელო" რამდენიმე დღის წინათაც გაუწყებდათ. ჩვენი ინფორმაციით, თურქეთიდან ზუგდიდში ორი თურქი ფეხბურთელი გუშინ უნდა ჩასულიყო. ბუნებრივია, საქმეში გარკვევა ვცადეთ და ზუგდიდელთა კლუბის პრეზიდენტ **ლაშა დარასელიას** დავუკავშირდით:

"თურქეთიდან ორ მოთამაშეს მართლაც ველით, მაგრამ ისინი ჯერ არ ჩამოსულან. თურქეთში ამ ფეხბურთელების აგენტს დავუკავშირდი და მან გვითხრა, რომ ორივე ეს მოთამაშე უკვე გამოემგზავრა საქართველოსკენ, კერძოდ კი ბათუმისკენ აიღეს გეზი. თუმცა ისინი ჯერჯერობით ბათუმშიც არ გამოჩენილან.

რა ვიცით ამ ფეხბურთელებზე? ჯერჯერობით მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ ორივე 1987 წელსაა დაბადებული, ფორვარდები არიან და ორივე თურქეთის უმაღლეს ლიგაში, "ისტანბულსფორში" ასპარეზობდა. ეს ფეხბურთელები ტესტირებაზე მოვიწვიეთ. ბუნებრივია, თურქ ფეხბურთელებს ვარჯიშების გარდა, ამხანაგურ მატჩებშიც დავაკვირდებით. ვნახოთ, როგორ წარმოჩნდებიან ეს მოთამაშეები. თუ ჩვენს მოწონებას დაიმსახურებენ, მაშინ "მგლებში" ითამაშებენ", - უთხრა "ლელოს" ლაშა დარასელიამ.

დავით ცაბაძე

პირველი ლიგა. I ტური

აღმოსავლეთი	
მეშაქრე-ნ. დინამო	1:1
ოლიმპი 2-ჩიხურა	1:2
გაგრა-ვიტ ჯორჯია 2	1:1
ამერი 2-კახეთი	3:1
ოლიმპიკი-დინამო 2	1:1
დასავლეთი	
მეშახტე-კოლხეთი ხ.	3:1
მერანი მარტვ.-უნივერსიტეტი ქუთ.	1:1
სამტრედია-კოლხეთი ფ.	1:2
ტორპედო-მაღაროელი	2:2
ფაზისი რაჭა-ზესტაფონი 2	გადაიდო

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;

CDN 55 ტელეფონის დადგმა;

CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;

GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;

CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



იტალიის სუპერთასი

რევანში და გაფრთხილება

ინტერი-რომა 0:1

ინტერი: ჟულიო სეზარი, ბურდისო (86. კრუსი), კორდობა, მატერაცი, კივუ, ვიეირა (66. კამბიასო), დაკური (52. ფიგუ), ხ. ძანეტი, სტანკოვიჩი, იბრაჰიმოვიჩი, სუასო.

რომა: დონი, კასეტი, პანუჩი, მექსე, ტონეტო, დე როსი, აკვილანი, ტადეი, ჟიული (73. ბრიგი), ვუჩინიჩი(90. როზი), ტოტი.

გოლი: 0:1 დე როსი (78–პენ)

გაძევება: პეროტა (71. სათადარიგოთა სკამიდან)

მაყურებელი: 55 000



სუპერკაპიტანი სუპერთასით ხელში

დანიელე დე როსის მიერ "სან სიროზე" გატანილმა პენალტმა "რომას" სუპერთასი მოუტანა, მეორედ კლუბის ისტორიაში (პირველად, 2001 წელს) . ასე რომ, **ლუჩანო სპალეტი** და მისი ამქარი ჩემპიონატს კარგ განწყობაზე ხვდებიან. ცხადია, ეს ჯილდო არაა იმ წონის, გასაგიჟებლად რომ ღირდეს, მაგრამ მაინც ოფიციალურია და რაკი სეზონის სტარტზე თამაშდება, ძალების მოსინჯვის დანიშნულებაც აქვს. ამიტომაცაა გახარებული "ჯალოროსის" ბანაკი. მერე ერთიცაა, რომ ზედიზედ მესამე წელიწადია სუპერთასის მფლობელის ვინაობა "ინტერსა" და "რომას" შორის ირკვევა. ამ უკანასკნელმა წინა ორი მატჩი წააგო და ამდენად, საკვირაო გამარჯვება ერთგვარი რევანშიცაა. აქვე გავიხსენოთ, შარშანდელი თამაშიც, რომელიც იტალიური სუპერთასის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დრამატული გამოდგა: პირველ ტაიმში "რომა" 3:0-ს იგებდა, მაგრამ საბოლოოდ, გამარჯვებული "ნერაძური" დარჩა - 4:3.

დაძაბულობა და ეშხი არც გუშინდელ თამაშს აკლდა. დამატებითი ინტრიგა იყო **კრისტიან კივუ**, რომელიც "რომადან" "ინტერში" ახლახან გადავიდა და კვირას **რობერტო მანჩინიმ** დაცვის ცენტრში გაამწესა (ამხანაგურ მატჩებში კივუ მარცხენა ფლანგზეც თამაშობდა). ბარემ აქვე აღვნიშნოთ, რომ არ უთამაშია **ადრიანოს**, რომელზეც ამბობდნენ, ახალი სეზონისთვის ისეთი მონდომებით ემზადება, როგორც არასდროსო. ეტყობა, მანჩინისთან მას ძველებურად უთანხმოება აქვს. რაც შეეხება სპალეტისეულ ფორმაციას, წინა სეზონთან შედარებით, ის გამორჩეულად შემტევი იყო. მწვრთნელმა ძირითადში ერთდროულად **ტოტი, ვუჩინიჩი** და **ჟიული** დააყენა. გასაკვირი იყო, რომ ვიცე-ჩემპიონთა სასტარტოში არ გამოჩენილა **პეროტა**, რომელიც მეორე ტაიმში, ზედმეტი აქტიურობისთვის, სათადარიგოთა სკამიდან გააძევეს, თან სწორედ იმ მომენტში, როცა ის-ის იყო, ჟიული უნდა შეეცვალა...

პირველი და თანაც რეალური შანსი "რომას" ჰქონდა, როცა მე-6 წუთზე, **ტონეტოს** პასის შემდეგ, ჟიულიმ ცარიელ კარში ვერ გაიტანა. ცოტა ხანში **ჟულიო სეზარმა** ვუჩინიჩის დარტყმული მოიგერია. თამაშის დებიუტი "რომასი" იყო. მერე, სტუმრები პენალტზე დავობდნენ. **ტოტი-ჟიულის** კომბინაცია **მატერაციმ** ვითომ უხეში ფორმით ჩაშალა, მაგრამ არბიტრმა თამაშის გაგრძელება ბრძანა. ეს იყო და, ჟიული კიდევ ერთხელ აღმოჩნდა ხელსაყრელ სიტუაციაში, მაგრამ ამჯერად მეკარემ იყოჩაღა. როგორც ხდება ხოლმე, მოსალოდნელი იყო, რომ ამხელა უპირატესობის ვერგამოყენებისთვის, "ინტერი" მეტოქეს დასჯიდა. თუმცა სპალეტის შეგირდებს მყარად ეჭირათ მოედნის ცენტრი და ნახევარდაცვას მოწყვეტილი "შავ-ლურჯი" ფორვარდები, რბილად რომ ვთქვათ, ულონოდ გამოიყურებოდნენ. მაგრამ **იბრაჰიმოვიჩმა** მაინც მონახა დასარტყმელი დერეფანი და შეეძლო კიდეც გატანა, თუმცა ბურთი მცირედით ასცდა მიზანს. მერე, კიდევ უფრო ახლო მანძილიდან ცუდად დაარტყა **სტანკოვიჩმა**.

მეორე ნახევარში "ინტერმა" თითქოს გამოასწორა თამაში, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. მცირე მცდელობის მიუხედავად, ჩემპიონი მაინც წნეხის ქვეშ რჩებოდა. აშკარა იყო "ჯალოროსის" უპირატესობა ნახევარდაცვაში, სადაც ბრწყინვალედ ირჯებოდნენ დე როსი და **აკვილანი**. დომინაციამ "რომას" კიდევ ერთი შანსი მისცა და ეს შანსი კიდევ ერთხელ გაანიავა ჟიულიმ, რომელიც ტოტიმ დიდებული პასით დაასაჩუქრა...

მანჩინის რაღაც უნდა ეღონა და **დაკური ფიგუთი** შეცვალა. სხვათა შორის, ფიგუს ხელზე მოხვდა ერთ-ერთი იმ დარტყმათაგანი, რაც ერთი წუთის განმავლობაში "ინტერის" კარის მიმართულებით განხორციელდა. წინა არ ვიცით და, ამ შემთხვევაში კი შეიძლებოდა პენალტის დანიშვნა. ამას ითხოვდა "რომაც" და ამასვე შეეწირა კიდეც პეროტა, რაზეც ზემოთ უკვე გითხარით...

ამ პერიოდში, "ინტერს" მხოლოდ ერთი შანსი ჰქონდა, როცა **სუასო** სრულიად თავისუფლად ურტყამდა თავით, მაგრამ **დონიმ** ბურთი ხელებში გააქვავა. "რომამ" კი, ბოლოს და ბოლოს, მიიღო ნანატრი პენალტი. ასე დასაჯა არბიტრმა **ბურდისო**, რომელიც საჯარიმოში ტოტის უხეშად გაუმასპინძლდა. 11-მეტრიანიც თითქოს კაპიტანს უნდა შეესრულებინა, მაგრამ რაკი წინა სეზონში "პუპონემ" რამდენიმე პენალტი ვერ გამოიყენა, აღარ გარისკა და დე როსის დაარტყმევინა. ჟულიო სეზარმა კუთხე გამოიცნო, თითებითაც შეეხო ბურთს, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდა - 1:0. სუპერთასი რომში წავიდა. გარდა იმისა, რომ შესანიშნავად მოთამაშე "ჯალოროსიმ" რევანში აიღო, ამავე დროს, გააფრთხილა "ინტერი", რომ სკუდეტოზე ისიც სერიოზულად ფიქრობს და რომ მზადაა კიდეც, გაზაფხულზე ჩემპიონი ტახტიდან ჩამოაგდოს.

გამარჯვების პენალტი

ლუჩანო სპალეტი: *"არ მაინტერესებს სტატისტიკა და ის, თუ ვინ რამდენჯერ მოიპოვა სუპერთასი. ჩემთვის მთავარია, რომ ეს ბიჭები გავიდნენ მოედანზე და ბრწყინვალედ ითამაშეს. ისინი ყოველი ბურთისთვის იბრძოდნენ და გამარჯვება ულაპარაკოდ დაიმსახურეს. არა მგონია, ვინმე იყოს ისეთი, ვინც ამ დამსახურებას კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს. გამარჯვება მით უფრო სასიხარულო და იმედისმომცემია, რომ ჩვენ დავამარცხეთ ძალიან ძლიერი გუნდი, ქვეყნის ჩემპიონი და მომავალი გათამაშების ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი. მაგრამ დღევანდელი თამაშით შეგვიძლია ვთქვათ, რომ "რომაც" სერიოზული ფავორიტია. ჩემი ფეხბურთელები ყურადღებით მისმენენ, ყველაფერს კარგად ითვისებენ, თავდაუზოგავად შრომობენ, მერე კი გადიან მოედანზე და აი, ასეთ თამაშს აჩვენებენ".*

შემდეგ, ჟურნალისტებმა ისარგებლეს შემთხვევით და სპალეტის **სისინოზეც** ჰკითხეს: *"ეს ჩემი საქმე არ არის და არც არავისთვის მითქვამს, რომ გაძლიერება აუცილებლად გვჭირდება. კლუბში არიან ბრუნო კონტი და დანიელე პრადე, რომლებმაც ფეხბურთში ბევრი რამ იციან, და მათ იციან, რა უნდა "რომას". ამიტომ, ასეთი კითხვებით მათ შეგიძლიათ მიმართოთ".*

რობერტო მანჩინი: *"ცუდად ვითამაშეთ. პირველ ტაიმში საერთოდ არაფერი გამოგვივიდა, მეორეში ცოტა კი გამოვასწორეთ თამაში, მაგრამ მხოლოდ "რომას" გოლამდე. ძალიან ბევრი ისეთი შეცდომა დავუშვით, რაც ჩვენი დონის გუნდს არ ეპატიება. ასევე ბევრს ვცოდავდით მოედნის ცენტრში, სადაც ბურთს თითქოს ვიგებდით, მაგრამ მერე იოლად ვკარგავდით. ფაქტია, რომ ჯერჯერობით, ფორმაში არ ვართ. შეცდომებიც ამის ბრალია. ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი კვირა დარჩა და ვეცდებით, ეს დრო მაქსიმალურად, ნაყოფიერად გამოვიყენოთ. მიუხედავად წაგებისა, სერია A-ს სტარტს მაინც ოპტიმიზმით ვხვდებით".*

ესპანეთის სუპერთასი. განმეორებითი მატჩის გამოხმაურება

სევილიამ რეალი მასხრად აიგდო

ხუანდე რამოსმა ბოლო 15 თვეში მეხუთე ტიტული დაისაკუთრა...

იმას, რაც "სევილიამ" "რეალს" დამართა, გამასხარავება ჰქვია. ანდალუსიელებმა სამეფო კლუბს ორი მატჩის ჯამში 6:3 სძლიეს. მადრიდელი ფანებისთვის ყველაზე მტკივნეული ისაა, რომ მათმა საყვარელმა გუნდმა ამ ექვსიდან ხუთი გოლი საკუთარ მოედანზე გაუშვა. **ფრედერიკ კანუტემ** დედაქალაქელებს ჰეთ თრიკი უძღვნა, ხოლო **რენატომ**- დუბლი. "სევილიამ" ბოლო ერთ წელიწადსა და სამ თვეში მეხუთე (!) ტიტული დაისაკუთრა: ზედიზედ ორჯერ უეფას თასი, ესპანეთის სამეფო თასი, ევროპის სუპერთასი და ბოლოს ესპანეთის სუპერთასი.

"რეალზე" რაღა ვთქვათ? ივნისში მადრიდელებმა ბოლო ოთხ წელიწადში პირველი ტიტული მოიპოვეს. ამის მიუხედავად, **ფაბიო კაპელოს** კარისკენ მიუთითეს და ახალი გუნდის შენება დაიწყეს. პროცესი მტკივნეულად მიმდინარეობს. პრიმერა დივიზიონის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, მადრიდელთა თავკაც **ბერნდ შუსტერს** ოპტიმალური შემადგენლობაც კი არ ჰყავს შერჩეული. გასაკვირი არ არის, რომ ის თამაშს თამაშზე აგებს. "სევილიამ" შუსტერი ბოლო ორ თვეში მეორედ დაიბრიყვა: ჯერ იყო და, ესპანეთის თასის ფინალში მისი ყოფილი კლუბი "ხეტაფე" დაამარცხა, ახლა კი "რეალს" აყარა შავი დღე. სევილიელთა გაყოყოჩებულმა პრეზიდენტმა **ხოსე მარია დელ ნიდომ** თქვა, სუპერთასმა ცხადჰყო, რომ ჩვენ ესპანეთის უძლიერესი გუნდი გვყავსო.

ანდალუსიელებმა ანგარიში მე-17 წუთზე გახსნეს. რენატომ მეტოქის მცველების უყურადღებობით ისარგებლა. "რეალმა" შემთხვევითობის წყალობით გაათანაბრა: ახალწვეულმა **როისტონ დრენტემ** 30 მეტრიდან მოიქნია და ბურთი მაღალ კუთხეში გაახვია. "სევილიამ" ხუთ წუთში მეორე გოლი გაიტანა. **დუდამ** საჯარიმოში ჩააწოდა. რენატო ორ ცენტრალურ მცველს შორის გაძვრა და ბურთს თავი შეუშვირა. სანამ მადრიდელები გონს მოსვლას მოასწრებდნენ, მათ კარში პენალტი დაინიშნა: **პეპემ** საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა, კანუტემ კი **იკერ კასილიასს** შანსი არ დაუტოვა. ზემოთ ბოლო წელიწადში სევილიელთა ხუთი ტიტული ვახსენეთ. კანუტემ ხუთივე გადამწყვეტ მატჩში გაიტანა. ტაიმის დასრულებას ერთი წუთი უკლდა, როცა "რეალმა" სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანა: **ფაბიო კანავარო ვესლი სნეიდერის** ჩაწოდებას შორ კუთხესთან დახვდა და თავით შეაგდო.

შესვენების შემდეგ შუსტერმა **ხოსე მარია გუტიერესი** გამოიყვანა. მადრიდელები თითქოს უფრო ლაღად ათამაშდნენ. 79-ე წუთზე "სევილიის" ყოფილმა ვარსკვლავმა **სერხიო რამოსმა** ანგარიში კი გაათანაბრა, მაგრამ ოთხ წუთში სტუმრებმა კიდევ გაიტანეს: კანუტემ კასილიასისა და პეპეს შეთანხმებით ისარგებლა და ახლო მანძილიდან მიზანში მოახვედრა. იქვე პეპეს მეორე ყვითელი ბარათი აუფრიალეს და მინდვრიდან დაითხოვეს. კანუტემ რიცხობრივი უპირატესობით მაშინვე ისარგებლა და თამაშს წერტილი დაუსვა.

ნამატჩევს მწვრთნელები მიმომხილველებს გაესაუბრნენ.

ბერნდ შუსტერი: *"მეორე ტაიმში უფრო აგრესიულად ვითამაშეთ, მაგრამ როგორც კი შანსი გვეძლეოდა, "სევილია" მაშინვე სპობდა მას. მეტოქემ ძალიან ეფექტურად ითამაშა. არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ არბიტრმა შედეგზე გარკვეული ზემოქმედება მოახდინა."*

ხუანდე რამოსი: *"გუნდმა საუცხოოდ ითამაშა. ბიჭებმა ყველა დავალება პირნათლად შეასრულეს. ჩემი შეგირდები საკუთარ ძალებში დარწმუნებულები არიან. მათ იციან, რისი მიღწევა შეუძლიათ. რაც შეეხება შუსტერის პრეტენზიებს მსაჯების მიმართ, კომენტარისგან თავს შევიკავებ. მსაჯებზე საუბარი არ მიყვარს, თანაც ანგარიში აღარ შეიცვლება."*

სევილიელები მადრიდელთა რბევას ზეიმობენ

ინგლისი ჯერარდისა და ჰარგრივსის გარეშე

სტივ ჯერარდი და **ოუენ ჰარგრივსი** ინგლისი-გერმანიის ხვალინდელ მატჩში ვერ ითამაშებენ. გასულ უქმეებზე ჰარგრივსმა "მანჩესტერ იუნაიტედის" შემადგენლობაში სადებიუტო მატჩი ჩაატარა. მისი ფიზიკური კონდიციები უკეთესის სურვილს ტოვებს. ამიტომ **სტივ მაკლარენმა** ფეხბურთელის გამოძახებისგან თავი შეიკავა. რაც შეეხება ჯერარდს, მან "ტოტენჰემთან" ერთი კვირის წინანდელ შეხვედრაში ფეხის თითი მოიტეხა. დაშავებულმა ნახევარმცველმა "ჩელსისთან" 90 წუთი ითამაშა, ნაკრებს კი ველარაფრით დაეხმარება. მაკლარენს ცენტრალური მცველი **სოლ კემპბელიც** დაშავებული ჰყავს. "პორტსმუთის"ვარსკვლავი ნაკრებს ერთწლიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა, მაგრამ ტრავმის გამო თამაშის გაცდენა მოუწევს.

ბოჟინოვის სამი თვე

მანჩესტერულ დერბიში **ვალერი ბოჟინოვმა** მუხლი იტკინა და ხანგრძლივი დასვენება ემუქრება. ბულგარელთა თავდამსხმელმა შეიძლება სამი თვე ვერ ითამაშოს. ბოჟინოვი "მანჩესტერ სიტიში" ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე "ფიორენტინიდან" გადავიდა. 21 წლის ფორვარდმა ძირითად შემადგენლობაში ორი მატჩი ჩაატარა. საკლუბო მატჩების გარდა, მას სანაკრებო შეხვედრების გამოტოვებაც მოუწევს. ბულგარელთა თავკაცმა **დიმიტარ პენევმა** ბოჟინოვი უელსთან ხვალინდელი მატჩისთვის გამოიძახა. სექტემბერში მის გუნდს ჰოლანდიასა და ლუქსემბურგთან საკვალიფიკაციო თამაშები ელის.

ლუსიოს მუხლი გაუსივდა

ლუსიო ალჟირი-ბრაზილიის მატჩს გამოტოვებს, რომელიც ხვალ, საფრანგეთის ქალაქ მონპელიეში გაიმართება. "ბაიერნის" ცენტრალური მცველი "ვერდერთან" შაბათის შეხვედრაში დაშავდა. მას მუხლი გაუსივდა. პენტაკამპეონების თავკაცმა **კარლოს დუნგამ** ლუსიოს ნაცვლად "სან პაულუს" 22 წლის მცველი **მირანდა** გამოიძახა. ამ ბიჭს ნაკრებში არასოდეს უთამაშია. ალჟირთან შეხვედრა პირველია, რომელსაც ბრაზილიელები ტრიუმფალური კოპა ამერიკის შემდეგ გამართავენ. გუნდს დაუბრუნდნენ კაკა და რონალდინიო, რომელთაც კონტინენტის პირველობაზე არ უთამაშიათ.

ლიუნგბერგი ისვენებს

შვედეთის ნაკრებს **ფრედრიკ ლიუნგბერგი** გამოაკლდა. "ვესტ ჰემის" ნახევარმცველს საზარდულის ტრავმა აქვს. დაშავებულები არიან "გალათასარაის" ნახევარმცველი **ტობიას ლინდეროტი** და "ოლბორგის" თავდამსხმელი **რადე პრიჩა**. შვედების თავკაც **ლარს ლაგერბაკს** მათი შემცვლელები არ დაუსახელებია. ხვალ, გიოტებორგში ვიკინგები ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებს უმასპინძლებენ.

ნიუკასლის ირლანდიელები ისევ ლაზარეთში

ირლანდია დანიასთან გასვლით ამხანაგურ მატჩში რამდენიმე წამყვან ფეხბურთელს მოისაკლისებს. ნიუკასლელი ვარსკვლავები, **შეი გივენი** და **დემიენ დაფი** დაშავებულები არიან. ამიტომ ხვალინდელი შეხვედრა გაუცდებათ. ირლანდიელთა თავკაცი **სტივ სტონტონი** იმედოვნებს, რომ გივენი სექტემბრის საკვალიფიკაციო მატჩებისთვის გამოჯანმრთელდება. მომდევნო თვის პირველ ნახევარში სტონტონის გუნდი სლოვაკეთსა და ჩეხეთს ეთამაშება. დაფი მინდორს მხოლოდ წლის ბოლოს დაუბრუნდება.

ინტერვიუ დიეგო მარადონასთან

მესის შესაძლებლობებს ზღვარი არ აქვს

რატომ არ იტირა ლეგენდარულმა არგენტინელმა კოპა ამერიკის ფინალის შემდეგ?

აქტიურ ცხოვრებას დაბრუნებულმა დიეგო მარადონამ არამარტო ფეხბურთის თამაში, არამედ პრესასთან ურთიერთობაც განაახლა. ლეგენდარულმა არგენტინელმა ინტერვიუ მისცა გაზეთ "ოლეს", სადაც დიეგომ მესის ნამდვილი ფენომენი უწოდა, შეაჯამა კოპა ამერიკაზე არგენტინის ნაკრების თამაში და ისიც გვიამბო, თუ რატომ აღარ აქვს ამ გუნდის განწირთნის იმედი.

- ეს მართალია, რომ არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი შემოგთავაზეს?

- დიახ, ბერლინში გერმანიასთან მეოთხედფინალში წაგების შემდეგ, ხულიო გრონდონამ (არგენტინის საფეხბურთო ასოციაციის პრეზიდენტი - რედ.) დამირეკა და მითხრა: "ნაკრები შენია!", მაგრამ შემდეგ გუნდი ბასილეს მისცა. ალბათ, მე ვერასოდეს ველირსები ამ გუნდის მთავარ მწვრთნელობას და ამის გაცნობიერება არც ისე იოლია... უკვე გონებაში მიტრიალებდა იმ 22 "ლომის" სია, რომელიც შესარჩევ მატჩში, "მარაკანაზე" ბრაზილიის ნაკრებს დიდ ბრძოლას გაუმართავდა, მაგრამ სამწუხაროდ... ახლა, სხვა ადგილას მომინევს სამწვრთნელო წარმატების მოპოვებაზე ზრუნვა (გამორიცხული არ არის, რომ ეს ადგილი... ურუგვაის ნაკრები იყოს, გუნდი, რომელიც არგენტინის სამიდან ერთ-ერთი დაუძინებელი მტერი გახლავთ. ყოველ შემთხვევაში, ურუგვაის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა სრული სერიოზულობით განიხილავს მარადონას კანდიდატურას - რედ.).

- მუნდიალის შემდეგ ამბობდით, რომ მოგწყინდათ ნაკრების მომტირალი ფეხბურთელების ცქერა. კოპა ამერიკის შემდეგაც იგივე თქვით?

- ამჯერად, არა. ბრაზილია ჩვენზე იმდენად ძლიერი იყო, რომ ტირილს აზრი არ ჰქონდა. მეტოქემ რონალდინიოს და კაკას გარეშეც 3:0 მოგვიგო. პირველი გაშვებული გოლის შემდეგ, თადარიგში 86 წუთი გვქონდა, მაგრამ რიკელმეს მიერ ძელს გარტყმული ბურთის გარდა, მომენტი არ შეგვიქმნია. იმის წარმოდგენაც არ მინდა, თუ რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, ჩვენ წინააღმდეგ ნამდვილ ბრაზილიის ნაკრებს რომ ეთამაშა.

- რა არის საჭირო იმისთვის, რომ არგენტინამ კვლავ მოიგოს რაიმე ტურნირი?

- არ ვიცი. ამჯერად ვენესუელაში საუკეთესო ფეხბურთელები ჩავიყვანეთ, მაგრამ მაინც არაფერი გამოვიდა. და რაც მთავარია, ამ ჩავარდნაში ისინი დამნაშავენი არ არიან, ეს უბრალოდ რაღაც მისტიკაა... ძალიან გამიკვირდა ის, რომ ჩვენს ფეხბურთელებს არც ფიზიკური და არც მორალური ძალა არ აღმოაჩნდათ იმისთვის, რომ ბრაზილიელებისთვის წინააღმდეგობა გაეწიათ.

- რას ფიქრობთ ნაკრებიდან კაპიტან, რობერტო აიალას წასვლის შესახებ?

- ის წავიდა იმიტომ, რომ წასვლა უნდოდა, ჩვენ ამის გაკეთების საშუალება იმის გამო მივეცით, რომ ბრაზილიასთან მარცხში დამნაშავედ ჩავთვალეთ. სინამდვილეში კი, ეს ასე არ იყო და არ ღირს ამის წამდაუწუმ შეხსენება.

- როგორ შეაფასებთ კოპა ამერიკაზე რიკელმეს თამაშს?

- მან მაღალ დონეზე ითამაშა, კარგად ხელმძღვანელობდა პარტნიორების მოქმედებას. ესპანეთიდან სხვადასხვა კლუბის წარმომადგენლები მირეკავდნენ და მთხოვდნენ რიკელმეს ტრანსფერში დავხმარებოდი, მაგრამ მე მათ უარით ვისტუმრებდი. ერთადერთი, რაშიც რომანის დარწმუნება მინდოდა იყო ის, რომ მას "ბოკა ხუნიორსში" გაეგრძელებინა თამაში. ეს მისი გუნდია.

- მესი?

- ყოველთვის, როცა ლეო ბურთს იღებდა, ვგრძნობდი, რომ რაღაც განსაკუთრებული უნდა მომხდარიყო. სამწუხაროდ, ფინალში მესიმ ვერაფრის გაკეთება ვერ შეძლო, რადგან, როგორც კი ბურთს იღებდა, სამი-ოთხი ბრაზილიელი მასზე ნადირობას იწყებდა. თუმცა მესი ფენომენია და მის შესაძლებლობებს ზღვარი არ გააჩნია.

- იცით თუ არა, რომ მესი შეკრებაზე თქვენი ავტოგრაფით დამშვენებულ ფოტოს ინახავდა? ეს ავტოგრაფი მან ბავშვობაში ჩამოგართვათ.

- ძალიან მიყვარს და დიდ პატივს ვცემ ლეოს. იყო მომენტი, როცა მას აკრიტიკებდნენ, მაგრამ დრომ ყველაფერი თავის ადგილას დააყენა და უკვე ეჭვი არავის ეპარება იმაში, რომ მესი ნამდვილი ტალანტია, რომელსაც ვერანაირი კრიტიკა ვერ მოერევა.

- თქვენ და მესის ხშირად გადარეკენ ერთმანეთს. ეს არ გაწუხებთ?

- არა, მაგრამ ყველას თავისი ბედი აქვს. მე 46 წლის ვარ, ლეი - ოცის და მას ყველაფერი წინ აქვს. ღმერთმა ქნას, რომ ლეომ მე მაჯობოს და არგენტინის ნაკრებთან მიმართებაში ჩვენი ოცნებები ოდესღაც აესრულებინოს.

- ამჟამად, თქვენი გული ორ ნაწილად არის გაყოფილი: ერთი მხრივ გახო და სავიოლა და მეორე მხრივ - მესი...

- დიახ, ეს ასეა. დამდეგ სეზონში მოუთმენლად დაველოდები "რეალისა" და "ბარსელონის" შეხვედრებს. გახომ უკვე თქვა, რომ ის ბრწყინვალე გუნდშია მოხვედრილი, მაგრამ ანრის მისვლის შემდეგ, "ბარსელონაც" ძალიან მრისხანედ გამოიყურება.

- თქვენ, პირველ რიგში, არგენტინის ნაკრების გულშემატკივარი ხართ?

- დიახ, იმ მოთამაშეების პერსონალური გულშემატკივარი, რომლებსაც არგენტინული ფეხბურთის გამდიდრება შეუძლიათ. და მინდა, რომ "ალბისელესტემ" კვლავ დაიწყოს ტიტულების მოგება და აღარ იზეიმოს მუნდიალის მეოთხედფინალში გასვლა ისე, თითქოს მან მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო.

მარადონა და ლიონელ მესი

სტაილსის გადაწყვეტილებამ ლივერპულელები შოკში ჩააგდო

ლივერპული vs ჩელსი. გამოხმაურება

სტაილსი, დიდი მატჩის მთავარი გმირი

ბენიტესმა არბიტრის გადაწყვეტილებას უსამართლო უწოდა, მოურინიოს მიაჩნია, რომ ზედმეტად გულუბრყვილო ფეხბურთელები ჰყავს...

ინგლისის დიდი ოთხეულის პირველი მატჩი ფრედ დასრულდა. "ლივერპულმა" და "ჩელსიმ" საუცხოო პარტია გაითამაშეს (1:1), მაგრამ მთავარი როლი არბიტრმა **რობ სტაილსმა** მიისაკუთრა. ამის შესახებ ცოტა ქვემოთ. იქამდე კი ორიოდ სიტყვით თამაში მიმოვიხილოთ.

რაფა ბენიტესს თითქოს ფრთხილი ტაქტიკა ჰქონდა არჩეული. მან ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე **რაიან ბაბელს ჯონ არნე რიისე** არჩია. მაგრამ რიისემ მთელი დრო შეტევებში გაატარა. მან კარგად აუბა მხარი **დირკ კუიტსა** და **ფერნანდო ტორესს**.

"ჩელსის" **ჯონ ტერი** დაუბრუნდა. **ჟოზე მოურინიომ** მცველების ოპტიმალური კვარტეტი მაინც ვერ შეაგროვა და ამიტომ, მარჯვენა ფლანგზე **მიკაელ ესიენი** გადაისროლეს. განელმა ნახევარმცველმა გასული სეზონის ნახევარი დაცვის ცენტრში გაატარა, მაგრამ მარჯვენა მცველობა მისთვისაც უჩვეულო იყო. თანაც ესიენი ტრავმირებული გახლდათ. მისი დაყენება ბოლო წუთს გადაწყდა.

"ლივერპულმა" ესიენის ფლანგს შეუტია. მე-16 წუთზე გოლი ამ ფლანგიდან მიტანილ იერიშს მოჰყვა. **სტივ ჯერარდმა** ფერნანდო ტორესს გადაანდა ბურთი. ტორესი ესიენსა და **ტალ ბენ ჰაიმს** გასცდა, საჯარიმოში შეიჭრა და **პეტრ ჩეხს** შორ კუთხეში გაუტანა, 1:0.

შესვენებისას **სალომონ კალუ კლაუდიო პისარომ** შეცვალა. მოურინიომ სქემა, 4-4-2, უცვლელი დატოვა. "ჩელსიმ" მეორე ტაიმი იერიშებით დაიწყო. პერუელს კარგი მომენტი ჰქონდა, მაგრამ ცარიელ კარს ააცილა. 61-ე წუთზე **ფლორან მალუდა** მეტოქის საჯარიმოსთან დაეუფლა ბურთს. მან **სტივ ფინენსა** და **ჯეიმი კარაგერს** შორის მოინდომა გაძვრომა, მაგრამ წაიქცა. არბიტრმა სტაილსმა საკამათო 11-მეტრიანი დანიშნა. ვიდეოჩანაწერში ჩანდა, რომ მალუდა მეტოქის მცველს თვითონ შეეჯახა. **პეპე რეინა** პენალტების აღების ოსტატად ითვლება, მაგრამ **ფრენკ ლემპარდთან** ვერაფერი გაწყო. ანგარიში გათანაბრდა, 1:1.

პენალტმა მოედანზე ცეცხლი დაანთო. სტაილსი ხანრის ჩაქრობას ყვითელი ბარათებით შეუდგა. საქმე უკიდურესობამდე არ მისულა. მსაჯს არავინ გაუძევებია, თუმცა თამაშის მიწურულს კურიოზული სიტუაცია მაინც შეიქმნა. სტაილსმა ყვითელი ესიენის მიმართულებით ააფრიალა. განელი უკვე გაფრთხილებული იყო. მეორე ყვითელი გაძევებას ნიშნავდა. მსაჯს კი წითელი ბარათი არ ამოუღია. რატომ? ნამატჩევს მეოთხე არბიტრმა განმარტა, რომ ის ყვითელი ბარათი ესიენმა კი არა, **ჯონ ტერიმ** მიიღო. არადა, ყველას, მათ შორის, მიკაელსაც ეგონა, რომ ის გააძევეს. ამიტომ გაქვავებული იდგა და საქმეში გარკვევას გულის ფანცქალით ელოდებოდა.

"ლივერპულმა" მატჩი, ფაქტობრივად, ოთხი თავდამსხმელით დაასრულა. ბენიტესისათვის ასეთი თავზეხელაღებული ტაქტიკა უჩვეულოა. "ჩელსიმ", პირიქით, ანგარიშის შენარჩუნებაზე გააკეთა აქცენტი და მიაღწია კიდეც მიზანს.

ნამატჩევს სენიორ რაფამ სტუმართა სასარგებლოდ დანიშნულ პენალტზე გაამახვილა ყურადღება: *"ეს იყო შეცდომა, დაუჯერებელი შეცდომა. როგორ შეიძლება გამოცდილმა მსაჯმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღოს. თუ ის ჩანაწერს ნახავს, მაშინვე მიხვდება, რატომ ვარ იმედგაცრუებული."*

სტივ ჯერარდი: *"მსაჯის გადაწყვეტილება უსამართლო იყო. "ჩელსის" ფეხბურთელებმა ის აუტანელი წნეხის ქვეშ მოაქციეს. ბოლოს ნერვებმა უმტყუნა."*

მოურინიო ჯერარდის მოსაზრებას კატეგორულად არ დაეთანხმა: *"მალუდამ ფეხები გაშალა, რათა ბურთი დროგბასკენ გაეტარებინა. ამ დროს მას უკნიდან ჩაარტყეს. ჩემი აზრით, ეს პენალტია. "ჩელსიმ" მსაჯი წნეხის ქვეშ მოაქცია? მე პირიქით მგონია. ჩემი ფეხბურთელები ზედმეტად გულუბრყვილონი არიან. ისინი არ სიმულანტობენ, მეტოქეს ფეხებს არ ამტვრევენ და არც არასოდეს ყვინთავენ, რათა პენალტი მოიპოვონ."*

ბენიტესს მოურინიოს კომენტარი სასაცილოდ არ ეყო: *"ისინი თუ გულუბრყვილონი არიან, მაშინ მე წითელქუდა ვყოფილვარ. გვარებს არ დავასახელებ. საკმარისია, სტატისტიკას გადახედოთ და დარწმუნდებით, რამდენჯერ ჩაუდენიათ ისეთი რამ, რასაც უსირცხვილოდ უარყოფენ. "ჩელსის" ფეხბურთელები მსაჯებს მოსვენებას არ აძლევენ და გამუდმებით ეკამათებიან."*

ბოლოს მოურინიომ სატურნირო მდგომარეობა მიმოიხილა. მას "მანჩესტერ იუნაიტედზე" ჰკითხეს. "ეშმაკებს" ასეთი ცუდი სტარტი 15 წელიწადია, არ ჰქონიათ. **სერ ალექს ფერგიუსონმა** უკვე აღიარა, რომ ტიტულის შენარჩუნება ძალიან ძნელი იქნება. მოურინიო: *"ვფიქრობ, დასკვნების გაკეთება ნაადრევია. "მანჩესტერს" ორი კი არა, ნული ქულა რომ ჰქონდეს, მაინც ფავორიტი იქნებოდა. მე კი მირჩევნია, ჩემს გუნდზე ვილაპარაკო. შეიძლება, ვიღაცას მოეჩვენოს, რომ ლივერპულში ერთი ქულისათვის ჩამოვედით. სულაც არა. თუ შემადგენლობას გადახედავთ, დარწმუნდებით, რომ მაქსიმალური შედეგისათვის ვიბრძოლეთ."*

რიკელმე ატლეტიკოში მიდისო

მადრიდის "ატლეტიკო" მორიგ ვარსკვლავს უმიზნებს - მათ ვილიარეალელ **ხუან რომან რიკელმეს** 3-წლიანი კონტრაქტის სანაცვლოდ სწორედ ის ხელფასი შესთავაზეს (3,75 მლნ ევრო), რასაც არგენტინელი ახლა გამოიმუშავებს. მადრიდელთა უპირატესობა ისაა, რომ ფეხბურთელს ახლანდელი კლუბის მთავარ მწვრთნელ **მანუელ პელეგრინისთან** დაძაბული ურთიერთობა აქვს. ვალენსიური კლუბი მზადაა, ფეხბურთელი დედაქალაქურს დაუთმოს.

ჰაინცეს ვნებანი

"მანჩესტერ იუნაიტედმა" "რეალსა" და "ბარსელონას" **გაბრიელ ჰაინცეს** ყიდვა შესთავაზა, არგენტინელსაც დიდი ხანია სურს კლუბის შეცვლა, გვაუწყებს "სანდი თაიმსი". როგორც ყოველკვირეული გამოცემა გვაუწყებს, "ალისფერ ეშმაკებს" სამხრეთამერიკელის გაყიდვა 6,8 მლნ გირვანქად აქვთ განზრახული, რაც ჰაინცეს აგენტს უკვე ოფიციალურად აცნობეს. აღსანიშნავია, რომ გაბის სულაც არ სურს ნისლიანი ალბიონის დატოვება, მას კარიერის "ლივერპულში" გაგრძელება უნდა. გუშინ ინგლისური პრემიერლიგის საარბიტრაჟო კომიტეტს აღნიშნულ საკითხზე უნდა ემსჯელა. მიუხედავად მოთამაშის სურვილისა, სერ **ალექს ფერგიუსონს** სულაც არ ეპიტნავება კვალიფიციური მოთამაშის კონკურენტში შესაძლო გადასვლის პერსპექტივა და ამიტომაცაა, რომ ის ყველაფერს აკეთებს, რათა ესპანური გრანდების ყურადღება ფეხბურთელისკენ მიაპყროს.

ხოსე მარია გუტიერესი

მოსალოდნელი ტრანსფერი

გუტი სვეინთან?

"მანჩესტერ სიტი" "რეალის" **ხოსე მარია გუტიერესისთვის** ბრძოლაში ჩაება. ესპანელის შეძენის სურვილით იწვის პირადად "ტოტენჰემის" ჰოლანდიელი თავკაცი **მარტინ იოლიც**. "სანდი ექსპრესის" ცნობით, 31 წლის ესპანელი ვარსკვლავი, მისი საფეხბურთო ოსტატობიდან გამომდინარე, საკმაოდ იაფი ღირს - 5 მილიონი ფუნტი. მანჩესტერელებს დიდი ხანია მიზანში ჰყავთ "ლივორნოსა" და იტალიის ნაკრების კარის დარაჯი **მარკო ამელიაც**. მისი გადასვლა კუნძულზე თითქმის გადაწყვეტილია და, როგორც ბრიტანელი ჟურნალისტები აღნიშნავენ, წერტილი საკითხს უკვე ამ კვირაში დაესმება. ამელიას სამსახურით "ლაციოც" იყო დაინტერესებული, მაგრამ რომაელებს "აძურის" მეკარე ეძვირათ. "ქალაქელებს", ყოველი შეთხვევისთვის, ცალი თვალი ასტონვილელი **ტომას სორენსენისკენაც** უჭირავთ. ამას გარდა, დიდი ხანია საუბრობენ იუვენტუსელ **ჯორჯო კიელინიზე**. ისევე როგორც მის თანამემამულეს, მასაც ჰყავს ალტერნატივა - კიევის დინამოელი **ბადრ ელ-ხადური**. ინგლისელების ამბიცია ამით არ შემოიფარგლება, მათს ინტერესებშია ანდერლეხტელი ნახევარმცველი **მარკ დე მანი**. ამ უკანასკნელს სტამბულის "ფენერბაჰჩეს" სიაშიც საპატიო ადგილი უკავია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნდესლიგა. მეორე ტურის გამოხმაურება

კაიზერ ფრანკი

ბაიერნის უმთავრესი კონკურენტი შალკეა? დორტმუნდი კი, ასეთი დაცვით მეორე ბუნდესლიგაში გავარდება...

ფრანკ რიბერიმ ტიმ ვიზეს ჯერ ულამაზესი პენალტი გაუტანა...

გაზეთი „ბილდი“ კვირის ნომერში წერდა, **ფრანკ რიბერი** ბუნდესლიგის მბრძანებელიაო. ასეცაა, რადგან „ბაიერნის“ ფრანგი ნახევარმცველის შეჩერება ვერც მეორე ტურში მოხერხდა – მიუხედავად იმისა, რომ რეკორდმაისტერის მეტოქე „ვერდერი“ იყო. 24 წლის ფრანგმა ამჯერად გრანდიოზული შთაბეჭდილება დატოვა – დიდი ხანია, ბუნდესლიგაში ფეხბურთელს ასე აღარ უფრენია! რიბერის სიმსუბუქე და ბურთზე მბრძანებლობა, ჩვენს გერმანელ კოლეგებს **ფრანც ბეკენბაუერის** ოქროს ხანას ახსენებს. და რას ამბობს თვითონ დიდი კაიზერი? *„მიყვარს ეს ბიჭი! განა, არაჩვეულებრივი არ არის ის, რასაც ფრანკი მოედანზე აკეთებს? მან ბუნდესლიგას სიდიადე შემატა, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს რიბერი სხვა პლანეტიდანაა.“*

...და ეს კიდევ არაფერი, ბეკენბაუერი ისეთ რამეს ამბობს, რომ მსმენელებს თმები ყალყზე უდგებათ: *„ჩემთვის დიდი პატივია ის, რომ რიბერის მადარებენ!“* აი, ასე აქებს კაიზერ-ფრანცი კაიზერ ფრანკს. ფაქტი ერთია: რიბერისთან ერთად „ბაიერნი“ სულ სხვა ფეხბურთს თამაშობს, ფეხბურთს, რომელსაც შარშანდელთან შედარებით, იდეალური ეთქმის. ისევე, როგორც „ჰანზასთან“ პირველ ტურში, რიბერი „ვერდერთანაც“ გრანდიოზული გახლდათ და კვლავ საუკეთესო შეფასება მიიღო. ბრემენის „ვეზერშტადიონზე“ მან ორი ისეთი რამ გააკეთა, მთელი მატჩის განმავლობაში სხვა რომ არაფერი ექნა, მხოლოდ იმ ორი რამისთვის დაიმსახურებდა საუკეთესო შეფასებას. ჯერ იყო და, პენალტი შეასრულა ვირტუოზულად, მერე კი, სანამ ანგარიში 3:0 გახდებოდა, **კრისტიან შულცს** თვალწინ აუკენწლა ბურთი და ისე გააბითურა, როგორც ბავშვი. სწორედ რიბერის მიერ წამოწყებული ამ კონტრიერიშის შემდეგ გავიდა მესამე გოლი.

„ასეთ ტრიუკებს ადრე მხოლოდ ვარჯიშებზე ვაკეთებდით, თამაშის დროს კი ამას ვერავინ გაბედავდა. პირადად მეც ვერ მივცემდი თავს იმის უფლებას, რომ ოფიციალურ მატჩში ასეთი რამ გამეკეთებინა,“ – ამბობს ბეკენბაუერი. თვითონ რიბერი კი რეგულარულად იმეორებს, „ბაიერნი“ არაჩვეულებრივი გუნდია და აქ თავს შესანიშნავად ვგრძნობ, რასაც მინდა, იმას ვაკეთებ და როგორც მინდა, ისე ვიქცევიო. და თანაც, სახეზე სულ ღიმილი დასთამაშებს.

აი, ბუნდესლიგის სხვა გუნდებს კი, რიბერის გამო სასაცილოდ ნამდვილად არა აქვთ საქმე...

■ ■ ■

მხოლოდ სატურნირო ცხრილს თუ ჩავხედავთ, ერთადერთი გუნდი, რომელიც რეკორდმაისტერს არ ჩამორჩება და რომელსაც ასევე ორი მოგება აქვს, „ჰამბურგია“, რომელმაც კვირას „ლევერკუზენს“ მოუგო. მაგრამ თუ თამაშის ხარისხით ვიმსჯელებთ, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ერთადერთი გუნდი, რომელიც „ბაიერნთან“ ამ მხრივ ყველაზე ახლოსაა, „შალკე“ გახლავთ. აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ „შალკეს“; პირველ ორ ტურში, „შტუტგარტისა“ და „დორტმუნდის“ სახით, ძლიერი მეტოქეები ჰყავდა.

„ბორუსიის“ განადგურებაში ლომის წვლილი მიუძღვის გელზენკირხენელთა მარცხენა მცველ **კრისტიან პანდერს**, რომელმაც არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება დატოვა, რის გამოც, რურის დიდი დერბის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. კრისტიანმა ჯერ **მარსელო ბორდონს** გაატანინა (საჯარიმო დარტყმა ჩააწოდა), მერე თვითონაც გაიტანა (ისევ ჯარიმა), მატჩის შემდეგ კი თქვა: *„ასეთი თამაშით ჩვენ ძალიან შორს წავალთ. ჩემპიონობა მინდა!“*

სწორედ პანდერის დამსახურებაა ის, რომ დღევანდელი გადასახედიდან, ექსპერტები „ბაიერნის“ ნომერ პირველ პოტენციურ მდევრად, სწორედ გელზენკირხენულ კლუბს განიხილავენ. პანდერი კი, რომელსაც შარშან ძალიან არ უმართლებდა, ახლა შესანიშნავ მდგომარეობაშია: ცოტა ხნის წინათ, „შალკესთან“ კონტრაქტი გააგრძელა, მოსამზადებელი პერიოდი ტრავმის გარეშე ჩაამთავრა, ახლა მოსისხლე მტერ „დორტმუნდთან“ გრანდიოზულად ითამაშა, ოთხშაბათს კი, „უემბლიზე“ „გერმანიის“ ნაკრების მაისურას მოირგებს – ამაზე უკეთესი რა უნდა ენატრა?

„მისი მარცხენა ფეხი ჩვენი უმთავრესი იარაღია!“ – აცხადებს „ხუმარების“ მენეჯერი **ანდრეას მიულერი**. *„მას არანორმალური შესაძლებლობები აქვს,“* – ეს კი მთავარ მწვრთნელ **მირკო სლომკას** განცხადებაა. და ესეც არ იყოს, პანდერი არ არის ჩვეულებრივი, რადგან ცოტა ხნის წინათ, როცა მისით „რეალი“ დაინტერესდა, მადრიდული გრანდის წინადადებით არცკი დაინტერესებულა, „შალკესთან“ მაშინვე ახალი კონტრაქტი გააფორმა და ამბობს: *„ამ გუნდმა მე იმდენად ბევრი მომცა, რომ შეუძლებელია, ვუღალატო.“*

„შალკეს“ მხრიდან, აგერ უკვე ზედიზედ მეორე ტურია, რაც ერთ-ერთი საუკეთესოა **ფაბიან ერნსტი**. გელზენკირხენელთა საყრდენი ნახევარმცველი, სხვათა შორის, ისევე, როგორც რიბერი, მეორე ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა. 27 წლის ერნსტი ჩინებულ ფორმაშია. *„ბაიერნმა“ „ვერდერს“* გადაურბინა და დაამტკიცა, *რომ ძალიან საშიში გუნდია, მაგრამ არც ჩვენ ვართ ნაკლებად საშიშნი. „შალკეს“ უპირატესობა ის არის, რომ ტაქტიკურად ძალიან მრავალმხრივი გუნდი ვართ,“* – ამბობს ერნსტი. ჰო, სლომკამ „შალკე“ „ბორუსიასთან“ 4-4-2-ით ათამაშა და არა 4-2-1-3-ით, როგორც ყოველთვის...

■ ■ ■

დორტმუნდში ჩემპიონთა ლიგაზე ან უეფას თასზე საუბარი დასრულებულია. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც, რადგან ორი ტურის შემდეგ, BVB ბოლო ადგილზეა! ორი თამაში, ორი წაგება, მე-18 ადგილი, ბურთების შეფარდება 2:7 – როგორ დასრულდება ეს ყველაფერი? ერთი რამ ცხადია, თუ „ბორუსიის“ დაცვაში არაფერი შეიცვალა, **თომას დოლის** გუნდი მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითდება!

მარიო ბასლერი ჯერ კიდევ ბუნდესლიგის დაწყებამდე ამბობდა, „ბორუსიის“ ბებერ მცველებს ძალიან გაუჭირდებათო და აი, ასეც მოხდა: ორ თამაშში გაშვებული 7 გოლი ყველაფერზე მეტყველებს. 35 წლის **კრისტიან ვიორნსი** და 33 წლის **რობერტ კოვაჩი**, რბილად რომ ვთქვათ, ამაზრზენად გამოიყურებიან. განსაკუთრებით კი, კოვაჩი სცოდავს. ეს უკანასკნელი „დუისბურგთანაც“ საშინელი სანახავი იყო და ცხადია, ვერც „შალკესთან“ წარმოაჩინა ის შესაძლებლობები, მასში BVB-ს ხელმძღვანელებმა რომ დაინახეს. თავად განსაჯეთ, ვიორნსსა და კოვაჩს სისწრაფეში თვით **ჯერალდ ასამოაც** კი სჯობნიდა, რომელსაც სპრინტერის გარდა ყველაფერი ეთქმის.

თამაშში საშუალოდ 3.5 გოლის გაშვება კი იმას ნიშნავს, რომ თუ გუნდი ასე გააგრძელებს, სეზონის ბოლოს 119 გოლი ექნება მიღებული. ვესტფალიელთა სპორტული დირექტორი **მიხაელ ცორკი** ამბობს, რომ „ბორუსია“ სატრანსფერო ბაზარზე კიდევ გააქტიურდება, მაგრამ მცველს აღარ შეიძენს. შესაბამისად, დოლს ისღა დარჩენია, რომ მომდევნო ტურში, „კოტბუსთან“, 23 წლის **მარკუს ბრეენსკა** ათამაშოს, რომელსაც უკვე საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს და ესეც არ იყოს, კოვაჩს ხომ მაინც აჯობებს...

პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: კოვაჩმა თქვა, „კოტბუსთანაც“ ისეთივე შემართებით უნდა ვითამაშოთ, როგორც „შალკესთან“ ვითამაშეთო. 1:4-ზე წაგებულ თამაშში, რომელ შემართებაზეა ლაპარაკი?..

■ ■ ■

გერმანიის ნაკრების თავკაც **იოახიმ ლიოვს** შაბათს ბერლინში სურდა ჩასვლა – ბუნდესმწვრთნელი „ჰერტასა“ და „შტუტგარტის“ მატჩზე დასწრებას გეგმავდა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა, რადგან თვითმფრინავს, რომლითაც იოგი დედაქალაქში უნდა გაფრენილიყო, პრობლემები შეექმნა. არადა, ლიოვმა ბევრი რამ გამოტოვა.

„ჰერტამ“, რომელსაც ექსპერტებმა პირველი ტურის შემდეგ, ელიტაში ადგილის შენარჩუნებისთვის ბრძოლა უწინასწარმეტყველეს, ჩემპიონი „შტუტგარტი“ დაამარცხა. ბერლინში კი შვებით ამოისუნთქეს: „ჰერტა“ არც ისე ცუდი გუნდია, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანდა. ამრიგად, „ოლიმპიაშტადიონმა“ ბოლო 6 თვის განმავლობაში პირველად იზეიმა – სწორედ ამდენი ხანი დასჭირდა „ჰერტას“ საშინაო თამაშის მოსაგებად. სამწუხაროა ისიც, რომ ამ თამაშს ვერ დაესწრო ბერლინელთა მენეჯერი **დიტერ ჰიონესი** – ამ უკანასკნელმა მთავარ მწვრთნელ **ლუსიენ ფავრს** პირველი გამარჯვება ტელეფონით მიულოცა, რადგან ჰიონესი ბრაზილიაშია და თავდამსხმელს ეძებს.

■ ■ ■

...რომ არა რიბერი, ტურის გმირი აუცილებლად „ვოლფსბურგის“ ბრაზილიელი გამთამაშებელი **მარსელინიო** გახდებოდა, რომელმაც „დუისბურგში“ იბრწყინა და ფაქტობრივად, მარტომ დაამარცხა „ზებრები“. 32 წლის ბრაზილიელმა ჯერ თვითონ გაიტანა, მერე კი **მადლუნგსა** და **რადუსაც** გაატანინა და „მგლების“ დამრიგებელი **ფელიქს მაგათი** აღაფრთოვანა. *„შესანიშნავად ითამაშა, მარსელინიო მატჩის გმირია, შეხვედრის ბედი მან გადაწყვიტა,“* – გახარებული იყო „დესპოტი ფელიქსი“.

სეზონის დაწყებამდე, მარსელინიომ თქვა, აი, ნახავთ, გოლი პლუს პასის რეიტინგში რიბერიზე მეტი ქულა მექნებაო. ბრაზილიელი სიტყვას, ჯერჯერობით, ასრულებს. მასსა და რიბერის დუელში ანგარიში 3:1 გახლავთ – ბრაზილიელის სასარგებლოდ...

გოტფრიდ ლენცი

ტურის ავ-კარგი

ვფიქრობთ, შეხსენებას აღარ საჭიროებს ის ფაქტი, რომ ტურის გმირი ფრანკ რიბერი გახდა. "ბაიერნის" ფლეიმეიქერის საშუალო შეფასება, განვლილ ორ ტურში 1.25-ია და ამით ყველაფერია ნათქვამი. თუკი პირველ ტურში რიბერიზე დიდი გმირობა "კოტბუსის" მეკარე ტომისლავ პიპლიცამ ჩაიდინა, მეორე ტურში ფრანგმა ლიდერობა არავის დაუთმო. თუ ასე გააგრძელა, რიბერი ამ სეზონში კიდევ არაერთხელ გახდება ტურის საუკეთესო მოთამაშე.

ანტიგმირის სამარცხვინო იარლიყი კი, ამჯერად "დორტმუნდის" მცველ რობერტ კოვაჩს ერგო. კრისტოფ მეტცელდერის ღირსეულად შეცვლას ვინ ჩივის, ეს უკანასკნელი ძირითად შემადგენლობაში თამაშის ღირსიც არ არის. მომდევნო ტურში, თომას დოლი კოვაჩს ალბათ, აღარ ენდობა...

... მერე კი, ბრემენელთა მარცხენა მცველი კრისტიან შულცი აი, ასე გააბითურა



მეორე ტურის სიმბოლური ნაკრები

სკანდალი

ასამოა: რომანი რასისტია, მაგრამ ნუ დასჯით!

შავსა და თეთრს ვაიდენფელერის ტუჩებზე ამოიკითხავენ...

რურის დიდი დერბი სკანდალის გარეშე რომ არ დასრულდებოდა, ეს წინდაწინვე ცხადი იყო. ამჯერად, ყურადღების ცენტრში დორტმუნდის კარის დარაჯი **რომან ვაიდენფელერი** და "შალკეს" ფორვარდი **ჯერალდ ასამოა** მოექცნენ. გუშინდელ ნომერშიც ვწერდით, რომ ერთ-ერთი ორთაბრძოლის შემდეგ, ასამოა და ვაიდენფელერი ერთმანეთს წაეკიდნენ და სალანძღავი სიტყვები გაცვალეს. საფინალო სასტვენის შემდეგ კი, ასამოამ თქვა, რომანმა შავი ღორი მიწოდაო. ეს კი რასისტული გამოხტომაა, რომლის გამოც, "ბორუსიის" 27 წლის მეკარეს მძიმე სასჯელი ემუქრება.

გერმანიის საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომიტეტმა საქმის განხილვა უკვე დაიწყო და ორივე ფეხბურთელს მოუსმინა. ახლა კი საქმეში სპეციალისტები ჩაერთვებიან, რომლებმაც ვიდეო-ჩანაწერისას ვაიდენფელერის ტუჩებზე უნდა ამოიკითხონ, უწოდა თუ არა მან ასამოას შავი ღორი. თუკი ასამოას ბრალდება დადასტურდა, BVB-ს გოლკიპერს მინიმუმ 5- მატჩიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება. ამ უკანასკნელმა რასისტული გამოხტომა უარჰყო და თქვა, ასეთ რამეს არასდროს ვიტყოდიო. ასამოამ კი განაცხადა, მატჩის შემდეგ ბოდიში მომიხადა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მასზე ნაწყენი არ ვარო.

ასამოა თუ ვაიდენფელერი - რომელი მათგანი ამბობს სიმართლეს? ეს უკვე სპეციალისტებმა უნდა გაარკვიონ. გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი **თეო ცვანციგერი** ამბობს, თუ დანაშაული დადასტურდა, ვაიდენფელერს ძალიან მკაცრად დავსჯითო. "ბორუსიის" გენერალური მენეჯერი **ჰანს-იოახიმ ვატცკე** კი თავისი გუნდის კარის დარაჯს იცავს, რომანი რასისტი არ არის და ასეთ რამეს არ იტყოდაო. სხვათა შორის, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ასამოას კანის ფერის გამო შეურაცხყოფენ. შარშან, გერმანიის თასის შეხვედრაში, ჯერალდს როსტოკში მართლაც შავი დღე დაადგა. როგორც იცით, როსტოკი გერმანიაში ყველაზე ნაცისტური ქალაქია. მაშინ, "ჰანზას" მეორე გუნდისა და "შალკეს" მატჩის დროს, "ოსტზეეშტადიონზე" როსტოკელმა ფანებმა მაიმუნი განასახიერეს - ღრიალებდნენ და ზუსტად ისეთ მოძრაობებს აკეთებდნენ, როგორც გორილა იქცევა ხოლმე. ამისთვის "ჰანზა" მაშინ 20 000 ევროთი დაჯარიმდა, "ოსტზეეშტადიონს" ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯა.

გუშინ "ბილდმა" ვაინდეფელერისა და ასამოას ოფიციალური განცხადებები გამოაქვეყნა.

რომან ვაიდენფელერი: "არ მესმის, რატომ იგონებს ასამოა ასეთ რამეს და რატომ ამბობს, რომ მას ასეთი შეურაცხყოფა მივაყენე. ტყუილი და ცილისწამებაა ის, თითქოს მე მას შავი ღორი ვუწოდე. ვინც მიცნობს, ის დაიჯერებს, რომ ასეთ რამეს არასდროს ვიტყოდი. ასეთი სიტყვები ჩემს ლექსიკონში არ არის. ვერაფრით ამიხსნია, რა პრობლემა აქვს ასამოას ჩემთან. ერთმანეთს ცუდი სიტყვები ვუთხარით, მაგრამ მისთვის შავი ღორი არ მიწოდებია. თამაშის შემდეგ ბოდიში მოვუხადე, მანაც მომიბოდიშა და ვფიქრობდი, რომ ამით ყველაფერი დამთავრდა. ჩვენ კარგი ურთიერთობა გვაქვს და მიკვირს, რომ ასეთ ცილისწამებას აქვს ადგილი. ჯერ კიდევ სამი კვირის წინათ ჩვენ ერთმანეთს დიუსელდორფში შევხვდით და ერთად ვიმხიარულეთ. ჯერალდს არ დავურეკავ, რადგან ვფიქრობ, რომ არ ვარ ვალდებული, კიდევ ერთხელ მოვუბოდიშო და დარეკვის მიზეზს ვერ ვხედავ. თუკი მას ჩემთან რაიმე პრობლემა აქვს, სიამოვნებით მოვუსმენ."

ჯერალდ ასამოა: "შავი ღორი მიწოდა. დერბი ყოველთვის მძიმეა და ჩხუბი ყოველთვის ხდება, მაგრამ იმას კი ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, რომ რომანი ჩემი კანის ფერის გამო შეურაცხმყოფდა. დიახ, ბოდიში მომიხადა, მაგრამ ხელი არ ჩამოვართვი. ძალიან გაბრაზებული ვიყავი და იმიტომ. ახლა ვაღიარებ: გოლის შემდეგ ის ჟესტი (ყელის გამოჭრა) ამიტომაც გავაკეთე - "დორტმუნდი" ჩვენთვის დამთავრებულია. არ ვიცი, რატომ არ აღიარებს, რომ შავი ღორი მიწოდა. რისი ეშინია? სიმართლე თქვას! ახლა კი მივიღებ ბოდიშს, ჩემთვის ეს თემა ამონურულია. იმედი მაქვს, რომ ამის გამო არ დასჯიან. არ მინდა, რომ დისკვალიფიკაცია მიუსაჯონ."

გოტფრიდ ლენცი



რაფაელ ვან დერ ვაარტი

ინტერვიუ რაფაელ ვან დერ ვაართან

თუ არ გამიშვებენ, პრობლემა არ არის, დავრჩები!

ჰამბურგი მკაცრია: რაფაელი, ალბათ, დარჩება...

კვირას, რაფაელ ვან დერ ვაარტი "ჰამბურგის" ფანებს შეურიგდა. შაბათს, ესპანურ გამოცემა AS-ში გამოქვეყნებული ფოტოს გამო (ვან დერ ვაარტი "ვალენსიის" მაისურით), ჩრდილოგერმანული კლუბის ფანები მაგრად აღშფოთდნენ, რის გამოც, "ლევერკუზენთან" მატჩში, HSV-ს ქომაგებმა მათი საყვარელი გუნდის ჰოლანდიელ კაპიტანს უსტვინეს, მაგრამ როცა ვან დერ ვაარტმა თერთმეტმეტრიანი გაიტანა, პუბლიკა მის გოლს ოვაციებითა და ტაშით შეხვდა. ვან დერ ვაარტმა სიხარული იმით გამოხატა, რომ კუთხურის ალამს ფეხი უთავაზა - თითქოს მთელი კვირის ჯავრი ამოიყარაო. "ჰამბურგის" შეფები მას "ვალენსიაში" არ უშვებენ. გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც ვან დერ ვაარტს "ბილდმა" კვირას, "ლევერკუზენთან" მატჩის საფინალო სასტვენის შემდეგ ჩამოართვა.

- ჰერ ვან დერ ვაარტ, ძალიან მძიმე კვირა გადაიტანეთ და საინტერესოა, როგორი განწყობა გქონდათ მატჩის წინ. გულშემატკივრები თქვენზე ძალიან გაბრაზებულები იყვნენ და ალბათ გამაყრუებელ სტვენასაც ელოდით...

- დიახ, რა თქმა უნდა, ველოდი და არც გამკვირვებია, ბურთთან პირველსავე შეხების დროს რომ დამისტვინეს. ფანების კარგად მესმის. მაგრამ მხოლოდ იმის გამო, რომ გულახდილი ვიყავი და რასაც ვფიქრობდი, ყველაფერი ვთქვი, ლანძღვას არ ვიმსახურებ. ხოლო ის, რომ ფანები განრისხდნენ, სავსებით ნორმალურია.

- თერთმეტმეტრიანის დარტყმის მომენტში რას ფიქრობდით?

- ძალიან დავიძაბე - პენალტის შესრულების დროს ასე არასდროს დავძაბულვარ. გავიფიქრე, თერთმეტმეტრიანი რომ ვერ გავიტანო, საშინელ მდგომარეობაში აღმოვჩნდები-მეთქი. მართლაც რთული იყო იმის წარმოდგენა, რა მოხდებოდა სტადიონზე, ის პენალტი რომ არ გამეტანა. და სიმართლე გითხრათ, ძალიან შემეშინდა. შარშანდელ სეზონში "ლევერკუზენთან" ვერ გავიტანე პენალტი და ახლაც ძალიან მეშინოდა. კიდევ კარგი, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდა. სტრესი მომეხსნა.

- "ჰამბურგს" თქვენი დათმობა არაფრისდიდებით არ სურს. მიუხედავად იმ ყველაფრისა, რაც გასულ კვირაში გააკეთეთ და თქვით, ბოსები მაინც ამბობენ, რომ თქვენი გაყიდვა წარმოუდგენელია. წასვლა ჯერ კიდევ გსურთ?

- "ჰამბურგი" შესანიშნავი გუნდია და მგონი, ამას პირველი არ ვამბობ. რომ ვთქვა, აქ უკმაყოფილო ვარ-მეთქი, ნამდვილად მოგატყუებთ - HSV-ში თავს შესანიშნავად ვგრძნობ. ეს ყველაფრი იმიტომ კი არ გავაკეთე, რომ ქომაგების ან ხელმძღვანელების გაბრაზება მსურდა, არა, უბრალოდ, გულახდილად ვთქვი ის, რაზეც ვოცნებობ. ხომ იცით, ჩემი ოცნება ესპანეთის პრიმერადივიზიონში ასპარეზობაა. დიახ, "ვალენსიაში" გადასვლა ჯერ კიდევ ძალიან მინდა. რატომ უნდა ვიცრუო? მე ყოველთვის გულახდილი ვარ.

- მაგრამ "ჰამბურგი" თქვენს გაშვებას არ თანხმდება. რა მოხდება?

- თუ არ გამიშვებენ, პრობლემა არ არის, დავრჩები და "ჰამბურგისთვის" ყველა თამაშში 100 პროცენტით დავიხარჯები. როცა მოედანზე გავდივარ, თავს არასდროს ვზოგავ.

- ესპანურ გაზეთ AS-ს ინტერვიუ მიეცით და ფოტორეპორტიორს ნება დართეთ, თქვენთვის "ვალენსიის" ფორმით ფოტო გადაეღო. კლუბის ხელმძღვანელებმა ეს დიდ დანაშაულად მიიჩნიეს და სავარაუდოდ, ფულად ჯარიმას დაგაკისრებენ...

- ისინი ჩემგან ფულს ვერ მიიღებენ! არავითარ შემთხვევაში!

- ბევრი ფიქრობს, რომ თქვენთვის მთავარი მხოლოდ ფულია. ეს სიმართლეა?

- კარგით რა. უბრალოდ მინდა, რომ ესპანეთში ვითამაშო, ეს არის და ეს. სხვათა შორის, ამას წინათ "ჰამბურგმა" ახალი კონტრაქტის გაფორმება შემომთავაზა და იმ ხელშეკრულებას ხელი რომ მოვაწერო, გაცილებით დიდ ხელფასს მივიღებ, ვიდრე "ვალენსია" მთავაზობს. ამის შემდეგ კიდევ იტყვიან, რომ ჩემთვის მთავარი ფულია? უბრალოდ, არ მესმის - "ჰამბურგში" ყველას გაყიდვა შეიძლება, ჩემი კი არა. რატომ?

- გიხარიათ, რომ "ლევერკუზენთან" კარგად ითამაშეთ, გოლი გაიტანეთ და რომ გუნდმა 1:0 მოიგო?

- რა თქმა უნდა, ძალიან გახარებული ვარ, რომ მეორე თამაშიც მოვიგეთ და "ბაიერნს" ფეხდაფეხ მივსდევთ. გუნდის მიტოვება და გუნდისთვის ღალატი არასდროს მიფიქრია.

- არც გოლის მომენტში და არც საფინალო სასტვენის შემდეგ, ერთხელაც არ გაგიცინიათ...

- სასაცილოდ არ მქონდა საქმე და იმიტომ...

- 30 აგვისტოს "ჰამბურგს" უეფას თასის საპასუხო მატჩი აქვს. ითამაშებთ?

- მოკლედ, თუ ამ კვირაში "ვალენსიაში" არ გადავედი, უეფას თასზე აუცილებლად ვითამაშებ და ეს კი იმას ნიშნავს, რომ გუნდში დავრჩები. მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ: "ვალენსიაში" გადასვლა მინდა!

გოტფრიდ ლენცი

ნევილის კიდევ ორი კვირა

გარი ნევილ [illegible] ორ კვირას გაატარებს. ვარაუდობდნენ, რომ მანჩესტერელი მცველი ინგლისის ნაკრების საკვალიფიკაციო მატჩებისათვის მწყობრში იქნებოდა. 8 და 12 სექტემბერს ბრიტანელები ისრაელსა და რუსეთს ეთამაშებიან, მაგრამ თუ ნევილი ვარჯიშს მხოლოდ ორი კვირის შემდეგ შეუდგება, საექვოა, ოპტიმალურ ფორმაში ჩადგომა მოახერხოს. **სტივ მაკლარენს** დაცვაში ყველაზე მეტი პრობლემა აქვს. მას **ჯონათან ვუდგეიტი, ლედლი კინგი** და **სოლ კემპბელი** აკლია. **ჯონ ტერრიმ** ამ უქმეებზე განაახლა ვარჯიში, ხოლო **ჯეიმი კარაგერმა** ნაკრებში დაბრუნებაზე უარი განაცხადა.

შახტიორი: 19 მილიონი 19 წლის ბრაზილიელში

დონეცკის "შახტიორი" მორიგი სარეკორდო ტრანსფერის განხორციელებას აპირებს. მან "კორინთიანსის" 19 წლის ფლეიმეიქერს **ვილიან ბორხეს და სილვას** დაადგა თვალი და 19 მილიონი დოლარი გაამზადა. გარიგების შემთხვევაში, ვილიან ბორხესი მეშახტეების მერვე ახალწვეული გახდება. ყველაზე ცნობილი ფეხბურთელი, რომელიც დონეცკელებმა ამ ზაფხულს შეიძინეს, იტალიელი თავდამსხმელი **კრისტიანო ლუკარელია**.

ლიოვმა კასტროსა და ოდონკორს უხმო

გუშინდელ ნომერში ვიუწყებოდით, რომ გერმანიის ნაკრებს ოთხშაბათს, ინგლისთან ამხანაგურ მატჩში **მიროსლავ კლოზე, ბასტიან შვაინშტაიგერი** და **სამი ხედირა** ვერ დაეხმარებიან. გუშინ, ბუნდესგუნდის მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** მათ ნაცვლად ეროვნულ გუნდში "ლევერკუზენის" ნახევარმცველ **გონსალო კასტროსა** და ბეტისელ **დავიდ ოდონკორს** უხმო.

დეკუ ნიუკასლში?

"ნიუზ ოფ ზე ვორლდის" ცნობით, "ნიუკასლის" ხელმძღვანელობამ დაადასტურა "ბარსელონის" პორტუგალიელი ნახევარმცველის **დეკუს** შეძენის სურვილი. ჩრდილოინგლისელები მზად არიან, გადაიხადონ 8 მილიონი გირვანქა და დამატებით თურქი ნახევარმცველი **ემრე** დათმონ. "კაჭკაჭების" ხელმძღვანელობა ამ კვირაში ისედაც აპირებდა ესპანეთში გამგზავრებას, რათა **ხოან ლაპორტასთან ჟულიანო ბელეტის** საკითხი განეხილა. **სემ ელერდაისი** ასევე დაინტერესებულია რედინგელი **ნიკი შორის** გადაბირებით (ამ მცველს **სტივ მაკლარენმა** გერმანიასთან მატჩისთვის ნაკრებში უხმო). რაც შეეხება ტრავმირებული **შეი გივენის** სავარაუდო შემცვლელს, ნიუკასლელებს "ჩელსისთან" უმოკლეს დროში **კარლო კუდიჩინის** არენდაზე შეთანხმების იმედი აქვთ.

ბოლგონს ბოლო იმედსაც ართმევენ

"სევილია" "ბოლტონიდან" **ნიკოლა ანელკას** გადაბირებას გეგმავს, გვამცნობს "ტრიბალფუტბოლი". ინტერნეტგვერდის ინფორმაციით, "სამფეროვანთა" თავდამსხმელის სატრანსფერო ღირებულება 10 მილიონ გირვანქას უწევს. ანელკას მსურველთა რიგი უდგას - "ვესტ ჰემი", "პორტსმუთი", "ლიონი". ბოლტონელთა გულშემატკივრების აღშფოთებას საზღვარი არ აქვს, ისინი კლუბის ხელმძღვანელობის მიერ საღ გონებაზე მიღებული გადაწყვეტილების იმედადღა არიან - სასტარტო 3 ტურში სამი წაგების შემდეგ წამყვანი ფორვარდის გასხვისება მართლაც ვერ ჩაითვლება ლოგიკურ ნაბიჯად.

ტურნირების მიმოხილვა

ფედერერის 50-ე ტიტული

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა** გამარჯვებით დაასრულა ცინცინატის მასტერსის სერიის ტურნირი და კარიერაში ატპს ტურის 50-ე ტურნირის ტიტულს დაეუფლა. ფინალში მან უპრობლემოდ აჯობა (6:1, 6:4) ამერიკელ **ჯეიმს ბლეიკს**.

შვეიცარიელმა მეტოქის მოწოდება პირველ სეტში ორჯერ აიღო, მეორეში კი ერთიც იმყოფინა და საქმე სულ რაღაც 65 წუთში მოათავა. მის მიერ მოპოვებული 50 ტიტულიდან 11 დიდი სლემის, 14 კი მასტერსის სერიის ტურნირებზე მოდის.

"მართალი გითხრათ, ამ ტურნირზე ძალიან გამიჭირდა თამაში. ნახევარფინალში კი გამიმართლა, როცა ლეიტონის დამარცხება შევძელი. შესაძლოა, ტაბლოზე ეს, მაინც და მაინც, არ ასახულა, მაგრამ გარწმუნებთ, ფინალშიც მაქსიმალურად გარჯა დამჭირდა მიზნის მისაღწევად. მთლიანობაში კი, აშშ-ის ღიას წინ შესანიშნავი მოსამზადებელი ეტაპი გამომივიდა, რითაც ძალიან კმაყოფილი ვარ", - განაცხადა ფედერერმა.

თამაში იმით დაიწყო, რომ მეორე გეიმში ბლეიკმა ფედერერს, ფაქტობრივად, ბრეიკი აჩუქა. მეხუთე გეიმში მას ბრეიკის სამი შანსი ჰქონდა, მაგრამ ერთიც ვერ გამოიყენა. სამაგიეროდ, ფედერერმა კიდევ ერთხელ იმარჯვა მეტოქის მოწოდებაზე. მეორე სეტში კი გადამწყვეტი გამოდგა მეშვიდე გეიმი, რომელშიც შვეიცარიელმა სეტში ერთადერთ ბრეიკს მიაღწია, მეათე გეიმში კი მეცხრე ეისით, შეხვედრას წერტილი დაუსვა.

26 წლის ფედერერი მეხუთე, ყველაზე ახალგაზრდა ჩოგბურთელია მათ შორის, ვინც 50-ე ტიტულის მოპოვება შეძლო. ისე კი, რაც ჩოგბურთი პროფესიული სპორტი გახდა, ამდენი და მეტი ტურნირის მოგება სულ ცხრა მეჩოგნეს მოუხერხებია. ცნობისთვის, ყველაზე ახალგაზრდას (23 წლისა და 7 თვისას) 50 ტურნირი ლეგენდარულ შვედ **ბორნ ბორგს** აქვს მოგებული. ამერიკელმა **ჯონ მაკინროომ** და ჩეხმა (გაამერიკელებულმა) **ივან ლენდლმა** იგივეს 25 წლის ასაკში მიაღწიეს.

დაკიდევ, ამერიკელ ჩოგბურთელთან ბოლოს ფედერერმა ოთხი წლის წინათ, მონრეალის ტურნირზე წააგო. ტურნირის ნახევარფინალში მაშინ ის **ენდი როდიკმა** დაამარცხა. მას შემდეგ კი შვეიცარიელ მაესტროს ამერიკელებთან ზედიზედ 35 თამაში აქვს მოგებული. რაც შეეხება ბლეიკს, ამ 35 თამაშიდან 7 ფედერერმა სწორედ მას მოუგო. ამასთან, ამ შვიდ შეხვედრაში მათ სულ 19 სეტი ითამაშეს, რომელთაგან ამერიკელმა მხოლოდ ერთის მოგება მოახერხა.მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა (ქალებს შორის) მოიგო ტორონტოს პირველი კატეგორიის ტურნირიც - მის ფინალში ბელგიელმა **ჟუსტინ ანენს** ორი სეტი დასჭირდა (7:6(3), 7:5) სერბი **ელენა იანკოვიჩის** დასამარცხებლად და მეორედ დაიმსახურა ტურნირის ჩემპიონის მთავარი ჯილდო - ბროლის ჩოგანი.

25 წლის ბელგიელისთვის ეს ამ სეზონში მოგებული მეექვსე (კარიერაში 35-ე) ტურნირია. თანაც, ტორონტოში მას ერთი სეტიც არ დაუთმია მეტოქეებისთვის. არადა, უიმბლდონის შემდეგ, ეს მისთვის პირველი ტურნირი იყო. საინტერესოა, რომ ეს ჟუსტინისა და იანვოიანკოვიჩის მეშვიდე დაპირისპირება იყო და ბელგიელმა ყველა შემთხვევაში კორტი მოგებულმა დატოვა.

მერაბ ლორთქიფანიძე

რეიტინგები

ATP-ის რეიტინგი	
1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც)	7605
2(2). რაფაელ ნადალი (ესპ)	5485
3(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	3670
4(5). ნიკოლაი დავიდენკო (რუს)	3415
5(4). ენდი როდიკი (აშშ)	2990
6(8). ჯეიმს ბლეიკი (აშშ)	2310
7(6). ფერნანდო გონსალესი (ჩილ)	2255
8(7). ტომი როზრედო (ესპ)	1950
9(12). ტომას ბერდიჩი (ჩეხ)	1925
10(9). ტომი ჰაასი (გერ)	1880
11(10). მიხაილ იუჟნი (რუს)	1880
12(11). ივან ლუბიჩიჩი (ხორ)	1780
13(13). რიშარ გასკე (საფ)	1740
14(14). გილერმო კანიასი (არგ)	1648
15(15). დავიდ ფერერი (ესპ)	1565
16(20). ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა)	1495
17(19). კარლოს მოია (ესპ)	1445
18(18). მარკოს გაღდატისი (კვი)	1440
19(16). ენდი მარეი (ბრიტ)	1420
20(21). ხუან იგნასიო ჩელა (არგ)	1230

ATP-ის საჩემპიონო რბოლა	
1(1). რაფაელ ნადალი (ესპ)	982
2(2). როჯერ ფედერერი (შვეიც)	971
3(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	662
4(4). ენდი როდიკი (აშშ)	416
5(5). ნიკოლაი დავიდენკო (რუს)	395
6(6). ფერნანდო გონსალესი (ჩილ)	295
7(9). დავიდ ფერერი (ესპ)	292
8(7). ივან ლუბიჩიჩი (ხორ)	288
9(8). ტომი როზრედო (ესპ)	277
10(9). მიხაილ იუჟნი (რუს)	274
11(11). ტომი ჰაასი (გერ)	266
12(16). კარლოს მოია (ესპ)	265
13(23). ჯეიმს ბლეიკი (აშშ)	262
14(14). ტომას ბერდიჩი (ჩეხ)	260
15(12). რიშარ გასკე (საფ)	259
16(13). გილერმო კანიასი (არგ)	258
17(15). მარკოს გაღდატისი (კვი)	257
18(21). ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა)	249
19(18). ხუან კარლოს ფერერო (ესპ)	236
20(17). ხუან იგნასიო ჩელა (არგ)	229

ფულადი მონაგარი	
1. როჯერ ფედერერი (შვეიც)	4 663 620
1. რაფაელ ნადალი (ესპ)	4 269 435
3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	2 357 150
4. ნიკოლაი დავიდენკო (რუს)	1 099 425
5. ენდი როდიკი (აშშ)	1 043 870
6. ფერნანდო გონსალესი (ჩილ)	1 018 730
7. ტომაშ ბერდიჩი (ჩეხ)	918 070
8. მიხაილ იუჟნი (რუს)	862 125
9. ივან ლუბიჩიჩი (ხორ)	821 145
10. რიშარ გასკე (საფ)	791 940
11. გილერმო კანიასი (არგ)	764 665
12. ტომი როზრედო (ესპ)	746 597
13. ტომი ჰაასი (გერ)	737 150
14. ხუან იგნასიო ჩელა (არგ)	721 515
15. დავიდ ფერერი (ესპ)	719 852
16. ბოგ ბრაიანი (აშშ)	712 185
17. მაიკ ბრაიანი (აშშ)	708 360
18. მარკოს გაღდატისი (კვიკ)	681 155
19. კარლოს მოია (ესპ)	676 880
20. ჯეიმს ბლეიკი (აშშ)	659 985

WTA-ს რეიტინგი	
1(1). ჟუსტინ ანენ-არდენი (ბელ)	4887
2(2). მარია შარაპოვა (რუს)	3845
3(3). ელენა იანკოვიჩი (სერ)	3429
4(5). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს)	3000
5(4). ანა ივანოვიჩი (სერ)	2847
6(6). ანა ჩაკვეტაძე (რუს)	2586
7(7). ამელი მორესმო (საფ)	2424
8(9). ნადია პეტროვა (რუს)	2238
9(8). სერენა უილიამსი (აშშ)	2237
10(10). დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ)	1968
11(11). მარიონ ბარტოლი (საფ)	1968
12(16). პატი შნიდერი (შვეიც)	1774
13(13). ვენუს უილიამსი (აშშ)	1765
14(15). ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ)	1708
15(17). ელენა დემენტიევა (რუს)	1694
16(14). დინარა საფინა (რუს)	1678
17(12). მარტინა ჰინგისი (შვეიც)	1621
18(19). ტატიანა გოლოვინი (საფ)	1610
19(18). შაარ პეერი (ისრ)	1524
20(20). სიგილ გავერი (ავსტრია)	1196

WTA-ს საჩემპიონო რბოლა	
1. ჟუსტინ ანენი (ბელ)	3675
2. ელენა იანკოვიჩი (სერ)	3475
3. ანა ივანოვიჩი (სერ)	2707
4. მარია შარაპოვა (რუს)	2340
5. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს)	2271
6. სერენა უილიამსი (აშშ)	2141
7. ანა ჩაკვეტაძე (რუს)	2106
8. ვენუს უილიამსი (აშშ)	1740
9. ნადია პეტროვა (რუს)	1698
10. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ)	1693
11. მარიონ ბარტოლი (საფ)	1592
12. დინარა საფინა (რუს)	1457
13. პატი შნიდერი (შვეიც)	1444
14. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ)	1421
15. ამელი მორესმო (საფ)	1406
16. შაარ პეერი (ისრ)	1338
17. მარტინა ჰინგისი (შვეიც)	1247
18. ელენა დემენტიევა (რუს)	1232
19. ტატიანა გოლოვინი (საფ)	1216
20. სიგილ გავერი (ავსტრია)	1195

ფულადი მონაგარი	
1. ჟუსტინ ანენი (ბელ)	2 716 410
2. სერენა უილიამსი (აშშ)	1 799 034
3. ვენუს უილიამსი (აშშ)	1 505 523
4. ანა ივანოვიჩი (სერ)	1 475 620
5. ელენა იანკოვიჩი (სერ)	1 437 780
6. მარია შარაპოვა (რუს)	1 210 149
7. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს)	1 078 844
8. მარიონ ბარტოლი (საფ)	950 416
9. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ)	813 030
10. ანა ჩაკვეტაძე (რუს)	795 432
11. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ)	726 232
12. მარა სანტანჯელო (იტა)	619 951
13. ლიზელ ჰუბერი (აშშ)	614 261
14. კარა ბლეკი (ზიმ)	604 569
15. ნადია პეტროვა (რუს)	592 231
16. კატ. სრეგოტნიკი (სლოვენ)	586 162
17. შაარ პეერი (ისრ)	584 850
18. მარტინა ჰინგისი (შვეიც)	563 506
19. პატი შნიდერი (შვეიც)	557 588
20. ამელი მორესმო (საფ)	539 284

21 აგვისტო. სამშაბათი

SPORT 1 (უკრაინა)

07:10 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედი-რედინგი.
09:00 სპორტკლუბი.
09:45 სპორტის ისტორია.
10:05 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. სანდერლენდი-ტოტენჰემი.
11:50 ფეხბურთი. სუდამერიკანას თასი. მიმოხილვა.
12:15 მძლეოსნობა. IAAF-ის სუპერგრან-პრი. ლონდონი. ბრიტანეთი.
15:15 სპორტის სამყარო.
15:45 სპორტკლუბი.
16:35 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
17:15 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
17:45 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ჰანზა.
19:30 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
19:40 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:40 აფროსნობა. ამერიკის თასი.
21:10 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
21:25 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:20 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
22:30 სპორტის სამყარო.
22:55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ევერტონი.
00:55 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
01:05 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ჰანზა.
03:05 ფეხბურთი. სუდამერიკანას თასი. მიმოხილვა.
03:35 მძლეოსნობა. IAAF-ის სუპერგრან-პრი. ლონდონი. ბრიტანეთი.
06:30 სპორტის სამყარო.

EUROSPORT

10:30 მულტისპორტი.
11:30 ევროგოლი. ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
12:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ახ. ზელანდია-ინგლისი. ს. კორეა (LIVE).
14:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. კოლუმბია-გერმანია. ს. კორეა.
15:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ჩრ. კორეა-ბრაზილია. ს. კორეა (LIVE).
17:00 ფეხბურთი. ევრო 2008.
19:30 ევროგოლი. ქრონიკა. ქრონიკა. საფეხბურთო მიმოხილვა.
20:00 ფეხბურთი. ევრო 2008.
20:15 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ჩრ. კორეა-ბრაზილია. ს. კორეა.
21:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი.
23:00 პროფესიული კრივი. მჩატე წონა. პ. მოზესი (ნამიბია)-ა. კუდრიავცევი (უკრაინა). დონეცკი. უკრაინა (LIVE).
01:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანია.
02:00 ფეხბურთი. ევრო 2008.
02:00 სპიდვეი. შვედეთის გრან-პრი.
03:15 ფეხბურთი. ევრო 2008.

EUROSPORT-2

08:00 ახალი ამბები.
08:45 სერფინგი. საფრანგეთი.
09:00 ახალი ამბები.
12:00 ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. ყაზახეთი-პოლონეთი. ტოკიო. იაპონია.
13:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამაკაცები. ფინალი. ფინეთი.
14:00 ახალი ამბები.
16:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი.
17:00 ექსტრემალური სპორტი.
18:00 პლაჟის ფეხბურთი. ფინალი. აკაპულკო. მექსიკა.
19:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. საფრანგეთი-იტალია. მარსელი. საფრანგეთი (LIVE).
20:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. რუსეთი-ესპანეთი. მარსელი. საფრანგეთი (LIVE).
21:00 მულტისპორტი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჩეხეთის გრან პრი.
00:00 სერფინგი. საფრანგეთი.
00:15 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. საფრანგეთი-იტალია. მარსელი. საფრანგეთი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 პრო-რესტლინგი.
02:15 ახალი ამბები.
02:30 სერფინგი. საფრანგეთი.
02:45 ახალი ამბები.

სხვადასხვა ხაზი

ფეხბურთი

მსოფლიო ჩემპიონატი UNDER 17

ბაჯიკეთი-აშშ	4:3
ბრინდიზი-ბანა	1:4

ინგლისი. კონფერენსი

ექსეტერი-იორკი	1:1

გერმანია. II ბუნდესლიგა

კიოლნი-ალემანია	0:1

საფრანგეთი. II დივიზიონი

პაკრი-ნანტი	1:0

პორტუგალია

ნაციონალ-ბელენენსეში	1:1

დანია

ლინგბიუ-ესბერგი	1:6

შვედეთი. II დივიზიონი

იონჩოპინგი-აგვიდაბერგი	1:0
ლანდსკრონა-ოსტერსი	1:1
ნორჩეპინგი-სილვია	1:1
ორგრიტე-მალმიუ	3:1

ირლანდია

დროგედა-გალვეი	2:2

ჩეხეთი

ბოჰემიანსი-სიგმა	0:0
იაბლონეცი-ბოლესლავი	1:1

უნგრეთი

ვაშაში-პაკსი	3:2

ჩოგბურთი

ATP. ნიუ ჰეივენი

გაბაშვილი-მონტანიესი	4:6, 4:6
როზრედო-ჟიკელი	6:4, 6:4
სპეიდი-კოროლიოვი	6:2, 5:7, 7:5
ბენეტო-ერნანდესი	6:2, 6:2
აკასუსო-ო. როხუსი	6:1, 7:6
ფიში-ვოლანდრი	6:7, 7:5, 6:0
კლემანი-ანდერსონი	6:1, 6:4

WTA. ნიუ ჰეივენი

ბამერი-შონესი	6:4, 6:2
ლუა-ციბულკოვა	6:0, 7:5
შავაი-სტოსური	6:2, 6:4
პუტჩკოვა-რუანო პასკუალი	6:7, 1:6
ა. ბონდარენკო-გოვორცოვა	6:3, 7:6
ჰარკლროუდი-პუტჩეკი	6:1, 6:0

პრო ტური

ბალანის მეორე კლასიკური

იტალიელი **ალესანდრო ბალანის** გამარჯვებით დასრულდა პრო ტურის სერიის მორიგი კლასიკური რბოლა - ჰამბურგის " ვატენფალ სიკლაისიკი". ბალანისთვის, ვინც საფიიშე სპურტი მეტისმეტად ადრე დაიწყო, ეს მიმდინარე სეზონში მოგებული მეორე (პირველი ფლანდრიის წრეა) კლასიკური რბოლაა.

27 წლის ბალანის ეს გამარჯვება ერთგვარად კურიოზულიც კი გამოდგა. მან რომ სპურტი დაიწყო, ფავორიტებმა მისი შეტევა უპასუხოდ დატოვეს. მერე კი, როცა გაიცნობიერეს, რომ იტალიელი ფინიშამდე ტემპის დაგდებას არ აპირებდა, ფეხს აუჩქარეს, მაგრამ უკვე გვიანი იყო - იტალიელმა სულ რამდენიმე სანტიმეტრით მიასწრო მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს ესპანეთიდან, **ოსკარ ფრეირესა** და გერმანელ **გერალდ ჩიოლეკს**, ვინც ორიოდე დღით ადრე, გერმანიის ტურის ბოლო ეტაპი მოიგო.

სხვათა შორის, ჩიოლეკი სულ ოცი წლისაა და ის იუნიორთა შორის მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს ფლობს. ნარბოლევს მან განაცხადა, სპრინტის დაწყების დროის არჩევა ძალიან ძნელია და როცა ბალანი აჩქარდა, ყველამ ვიფიქრეთ, რომ ფინიშამდე ძალა არ შერჩებოდა, მაგრამ მოვტყუვდითო. ისე კი გერმანელი თავისი მესამე ადგილითაც კმაყოფილი დარჩა.

ვატენფალ სიკლაისიკი
(ჰამბურგი, გერმანია)

1. ალესანდრო ბალანი (იტალია, ლამპრე-ფონდიტალი) 5:21.05 (42.811 კმ/სთ); 2. ოსკარ ფრეირე გომესი (ესპანეთი, რაბობანკი) იგივე დროში; 3. გერალდ ჩიოლეკი (გერმანია, ტე-მობილი); 4. დანილო ნაპოლიტანო (იტალია, ლამპრე-ფონდიტალი); 5. ერიკ ცაბელი (გერმანია, მილრამი); 6. დავიდ რებელინი (იტალია, გეროლშტაინერი); 7. პაოლო ბეტინი (იტალია, ბვიკსტეპ-ინერგეტიკი) ყველა იგივე დროში...

პრო ტურის ცხრილი

1. დანილო დი ლუკა (იტალია, ლიკიგაზი) 207 ქულა; 2. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, დისქავერი ჩენელი) 191; 3. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, კასსე დ'ეპარნი) 190; 4. კეიდელ ევანსი (ავსტრალია, პრედიქტორ-ლოტო) 174; 5. დავიდ რებელინი (იტალია, გეროლშტაინერი) 172; 6. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, ტე-მობილი) 129; 7. ოსკარ ფრეირე გომესი (ესპანეთი, რაბობანკი) 125; 8. ლევი ლაიპჰაიმერი (აშშ, დისქავერი ჩენელი) 118...

ჟალეთბურთი. დღეს 21:30 ლუქსემბურგი-საქართველო

ვახტანგ ნაცვლიშვილი:

B დივიზიონს არც ჩვენ ვიმსახურებთ და არც ფინელები



საქართველოს ნაკრები 18 ივლისს თბილისში შეიკრიბა, სამი დღე "დინამოს" დილმის ბაზაზე ივარჯიშა და ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირზე გაემგზავრა. სოფიაში ჯერ მასპინძლებთან დამარცხდა, შემდეგ მაკედონიასა და დანიას აჯობა და შეჯიბრება მეორე ადგილზე დაასრულა. ბულგარეთიდან ჩვენი ნაკრები ფრანგულ ქალაქ პოში "პო ორტეზის" ბაზაზე გადაბარგდა და პორტუგალიური ტურნირისთვის იქ მოემზადა. ქალაქ მადეირაში (კუნძულში არ აგერიოთ) გამგზავრების წინ ქართველებს ლიდერი **ზაზა ფაჩულია** გამოაკლდათ, რომელიც რამდენიმე დღით "ატლანტაში" გამოიძახეს. მის გარეშე **კენ შილდსის** გუნდმა რუმინელებს დიდი სხვაობით მოუგო და დაგვანახა, რომ A ჯგუფის ლიდერი ვლახები ფლეი ოფში სასურველი მეტოქეები იქნებიან. ხოლო ბოლო ორ მატჩში პორტუგალიასა და ტუნისთან წაგებებმა გვიჩვენა, რომ ზაზას გარეშე A ლიგაში ფეხის მოკიდება გაგვიჭირდება.

ქართველები პორტუგალიიდან ისევ პოში დაბრუნდნენ, დიდ ბრიტანეთთან ორი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარეს და მოგება-წაგებები თანაბრად გაიყვეს - 1:1. გუშინ კენ შილდსის ნაკრები ლუქსემბურგში გაემგზავრა და წლის პირველ ოფიციალურ მატჩს დღეს თბილისის დროით 21:30 საათზე გამართავს.

პოში ჩვენიანებს ვებსაიტ "ფიბაევროპის" ჟურნალისტი ესტუმრა და მოსამზადებელი ციკლის შესახებ კაპიტან **ვახტანგ ნაცვლიშვილსა** და მწვრთნელ კენ შილდსს ესაუბრა. გთავაზობთ თარგმანს.

საქართველოს ნაკრებმა მოსამზადებელი მატჩები ბრიტანეთთან დაასრულა და ახლა B-დან A დივიზიონში გადასასვლელად იბრძოლებს. გუნდის კაპიტნის, ვახტანგ ნაცვლიშვილის თქმით წინასასეზონო კამპანია მხოლოდ ფინეთთან საშინაო თამაშის მოსაგებად არ განხორციელებულა...

"ყველა - ჟურნალისტები, ფანები მხოლოდ ფინეთთან მომავალ მატჩზე საუბრობენ. ჩემი, როგორც კაპიტნის მოსაზრებაა, მატჩებს თანმიმდევრობით უნდა მივყვეთ. საქმის კეთება ლუქსემბურგიდან უნდა დავიწყოთ და თავის დროზე, 2 სექტემბერს ფინეთთან შეხვედრაც მოვა", - ღიმილით ამბობს ნაცვლიშვილი. ის იქვე დასძენს: *"შინ ფინეთზე არანაკლებ რთული მატჩი გველის - 25 აგვისტოს ავსტრიას ვმასპინძლობთ. ამ ნაკრებთან შარშან ძალიან გაგვიჭირდა, ფაქტობრივად წაგებული თამაში შემოვაბრუნეთ და 68:63 გავიმარჯვეთ. კიდევ უფრო ძნელი იქნება ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ ისლანდიაში გამარჯვება".*

ბოლო ამხანაგურ შეხვედრაში საქართველო ბრიტანეთთან 64:82 დამარცხდა. გადამწყვეტი მეორე ტაიმი აღმოჩნდა, რომელიც კუნძულელებმა 53:25 მოიგეს. თუმცა წინა დღეს ქართველებმა დიდი ბრიტანეთს 65:63 სძლიეს. ამ შეხვედრების შესახებ ვახტანგ ნაცვლიშვილი მოკლედ საუბრობს:

"ვფიქრობ, ბრიტანეთთან მეორე მატჩისთვის ძალა აღარ გვეყო. ზელიზედ მეორე რთული შეხვედრისთვის ენერგიის აღდგენა ვერ მოვასწარით. თუმცა მოსამზადებელი ციკლის ყველა მატჩი ჩვენთვის მეტად სასარგებლო იყო. ბრიტანეთისა და საქართველოს შეხვედრის შემხედვარე, ვერავინ იტყოდა, რომ B დივიზიონის გუნდები თამაშობდნენ. ჩვენთან ერთად ფინეთიც A ლიგაში უნდა იყოს".

31 წლის კაპიტანი თავს "ძველი სკოლის" წარმომადგენლად ახასიათებს. იგი კენ შილდსის კრებულის ყველაზე ასაკოვანი წევრია.

"აქამდე ბევრი მატჩი მხოლოდ გამოუცდელობის გამო წავაგეთ, თორემ ყოველთვის კარგი გუნდი გვყავდა". - ამბობს ნაცვლიშვილი.

ქართველებს წელსაც დიდებული ნაკრები ჰყავთ. მათი ლიდერი ახალგაზრდა და ნიჭიერი ატლანტელი ზაზა ფაჩულიაა, რომელმაც პორტუგალიური ვოიაჟი გამოტოვა, ხოლო ბრიტანეთთან ორმატჩიან სერიაში 40 ქულა ჩააგდო.

მოსამზადებელ ეტაპზე საქართველოს ნაკრებს ორი წამყვანი კალათბურთელი აკლდა **ნიკა ცქიტიშვილი** (რომელიც შარშან ესპანურ "კახა სან ფერნანდოში" თამაშობდა) და **ვლადიმერ ბოისა** (იგი "მონტეპასკისთან" ერთად იტალიის ჩემპიონი გახდა). მათ შესახებ კანადელი სპეციალისტი, კენ შილდსი მოკლედ საუბრობს:

"ბოისა და ცქიტიშვილი კარგი მოთამაშეები არიან. მათ გარეშე Shallow ვიყავით".

ასეთი შეფასებით მთავრდება სტატია საქართველოს ნაკრების შესახებ.

ეს ინგლისური სიტყვა პირდაპირ ვერ გადავთარგმნეთ, ამიტომ ახლა გთავაზობთ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში მოცემულ მის განმარტებებს და თავადაც მიხვდებით, რას ფიქრობს კენ შილდსი ცქიტიშვილსა და ბოისას გარეშე თამაშზე.

Shallow - 1. მომცრო, მცირე; 2. ზედაპირული, ცარიელი.

ვაჟა სიმონიშვილი



კოტე ტულუში
აზოტი (რუსთავი)
დაიბადა: 1984 წლის 3 ივნისს
სიმაღლე: 193 სმ
წონა: 91 კგ
პოზიცია: უკანახაზელი
დებიუტანტი



გიორგი ცინცაძე
ტარტუ (ესტონეთი)
დაიბადა: 1986 წლის 7 თებერვალს
სიმაღლე: 192 სმ
წონა: 80 კგ
პოზიცია: გამთამაშებელი
დებიუტი: 11.09.2004 საქართველო-ფინეთი 85:78
18 წთ: 4ქ. 3ბ. 3პ. 2ჩ.



ტაირონ ელისი
კახა (ესპანითი)
დაიბადა: 1983 წლის 5 ოქტომბერს
სიმაღლე: 193 სმ
წონა: 87 კგ
პოზიცია: უკანახაზელი
დებიუტი: 3.09.2006 საქართველო-ლუქსემბურგი 86:44
27 წთ: 12ქ. 4ბ. 5პ. 1ჩ.



ლაშა გამყრელიძე
აზოტი (რუსთავი)
პოზიცია: გამთამაშებელი
დაიბადა: 1986 წლის 4 თებერვალს
სიმაღლე: 185 სმ
წონა: 70 კგ
დებიუტი: 3.09.2005 ფინეთი-საქართველო 87:79
7 წთ

მანუჩარ მარკოიშვილი
"კიევი" (უკრაინა)
დაიბადა: 1986 წლის 17 ნოემბერს
სიმაღლე: 196 სმ
წონა: 90 კგ
პოზიცია: მსროლელი/ფორვარდი
დებიუტი: 11.09.2004 საქართველო-ფინეთი 85:78
37 წთ: 12 ქ. 6 ბ. 2 პ

ვიქტორ სანიკიძე
ესტუდიანტესი (ესპანეთი)
დაიბადა: 1986 წლის 1 აპრილს
სიმაღლე: 204 სმ
წონა: 85 კგ
პოზიცია: ფორვარდი
დებიუტი: 3.09.2006 საქართველო-ლუქსემბურგი 86:44
21 წთ: 6ქ. 5ბ. 3ჩ. 1პ

ანატოლი ბოისა
აზოტი (რუსთავი)
დაიბადა: 1983 წლის 9 სექტემბერს
სიმაღლე: 193 სმ
წონა: 89 კგ
პოზიცია: უკანახაზელი
დებიუტი: 3.09.2005 ფინეთი-საქართველო 87:79
14 წთ: 2ქ, 1ბ



გესიკ ლეჟავა
თსუ (თბილისი)
დაიბადა: 1986 წლის 21 თებერვალს
სიმაღლე: 190 სმ
წონა: 75 კგ
პოზიცია: უკანახაზელი
დებიუტანტი



ვახტანგ ნაცვლიშვილი
დიჟონი (საფრანგეთი)
დაიბადა: 1976 წლის 28 იანვარს
სიმაღლე: 204 სმ
წონა: 97 კგ
პოზიცია: ფორვარდი
დებიუტი: 24.05.95 საქართველო-პოლონეთი 68:91
32 წუთი: 21 ქ, 6 ბ, 1 პ, 1 ჩ

გიორგი შერმადინი
მაკაბი (თბილისი)
დაიბადა: 1989 წლის 2 აპრილს
სიმაღლე: 216 სმ
წონა: 113კგ
პოზიცია: ცენტრი
დებიუტი: 3.09.2006 საქართველო-ლუქსემბურგი 86:44
4 წთ: 2ქ. 3ბ



ზვიად ბაბიაშვილი
ავიამშენი (თბილისი)
დაიბადა: 1978 წლის 23 სექტემბერს
სიმაღლე: 200 სმ
წონა: 98 კგ
პოზიცია: მძიმე ფორვარდი
დებიუტანტი

დავით უგრეხელიძე
აზოტი (რუსთავი)
დაიბადა: 1983 წლის 27 მარტს
სიმაღლე: 208 სმ
წონა: 108 კგ
პოზიცია: ცენტრი
დებიუტი: 10.09.2005 საქართველო-ლუქსემბურგი 87:65
7 წთ: 2ქ. 2ბ. 1ბ



ზაზა ფაჩულია
ატლანტა (NBA)
დაიბადა: 1984 წლის 10 თებერვალს
სიმაღლე: 212 სმ
წონა: 110 კგ
პოზიცია: ცენტრი
დებიუტი: 17.05.2000 ლუქსემბურგი-საქართველო 92:71
21 წუთი: 9 ქ, 9 ბ, 1 პ

ვლადიმერ ბოისა
პრიმორიე (რუსეთი)
დაიბადა: 1981 წლის 4 ივლისს
სიმაღლე: 206 სმ
წონა: 103 კგ
პოზიცია: ფორვარდი
დებიუტი: 25.02.98 ლატვია-საქართველო 99:63
16 წუთი: 5 ქ, 5 ბ, 1 ჩ



ნიკოლოზ ცქიტიშვილი
ტერამო (იტალია)
დაიბადა: 1983 წლის 14 აპრილს
სიმაღლე: 214 სმ
წონა: 105 კგ
პოზიცია: ფორვარდი
დებიუტი: 19.05.99 შვეიცარია-საქართველო 85:66
15 წთ: 5 ქ, 2 ბ



კენ შილდსი
კანადა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰალეთბურთი

ევროპის ჩემპიონატი



15 სექტემბერს უნდა ვითამაშოთ

ფიბაევროპის დამსახურებით 2003 წლიდან B დივიზიონში ვყურყუტებთ. ევროპის მთავარი საკალათბურთო ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა გუნდები ორ ეშელონად სწორედ ოთხი წლის წინათ გაყვეს. ტურნირების სისტემა კი ისე ჩახლართეს, რომ A დივიზიონში გადასვლას ბევრი კარგი გუნდი ვერ ახერხებს. საქართველოს ნაკრების შესახებ ხომ საუბარიც ზედმეტია. მაგალითისთვის ფინეთიც გამოდგება - წლეულს შვედეთს, ესტონეთსა და დანიას აჯობეს. ეს სამეული A ლიგაში თამაშობს, ხოლო ფინელები B დივიზიონის შარშანდელ შესარჩევ ციკლში მაკედონიისა და საქართველოს შემდეგ მესამეები იყვნენ.

ასეა თუ ისე, სხვა გზა არ გვაქვს, ცხადად წარმოგიდგინოთ ზემოთნახსენები ჩახლართული სისტემა. B ლიგაში 14 გუნდი სამ ჯგუფადაა გაყოფილი. ფლეი ოფში ქვეჯგუფების გამარჯვებულები და საუკეთესო მეორეადგილოსნები გადიან. 11 და 15 სექტემბერს ნახევარფინალებია (შინ და გარეთ), რომლის მომგები ორი ნაკრები გაისად A ლიგაში ითამაშებს.

თუკი უკვე გადახედეთ სხვა ჯგუფების სატურნირო მდგომარეობებს, შენიშნავდით, რომ ფლეი ოფში მეორეადგილოსნის სტატუსით მოხვედრის ყველაზე კარგი შანსი ჩვენი ჯგუფის წარმომადგენელს აქვს. აქვე იმასაც გეტყვით, რომ მეორე პოზიციის მკვიდრი სამი ნაკრების შეფასებისას საუკეთესო ის იქნება, რომელსაც სხვებზე მეტი მოგებათა პროცენტული მაჩვენებელი დაუგროვდება (მოგება გაყოფილი მატჩების რაოდენობაზე).

ნაკრებები ფლეი ოფში ამავე პრინციპით დახარისხდებიან და უკეთესი შედეგის მქონე დაბალშედეგიანს დაუპირისპირდება. ოღონდ ერთი ჯგუფის წარმომადგენლები ერთმანეთს აღარ შეხვდებიან.

წარმატება ვუსურვოთ საქართველოს ნაკრებს და იმედი დავიტოვოთ, რომ როგორც დღეს ითამაშებს ლუქსემბურგთან, იმაზე უკეთესად გაეგრძელებინოს ავსტრია-ისლანდია-ფინეთთან.

ვაჟა სიმონიშვილი

A ჯგუფი

შვეიცარია-ირლანდია	59:57
რუმინეთი-კვიპროსი	79:64
ირლანდია-რუმინეთი	62:81
კვიპროსი-შვეიცარია	46:64
ირლანდია-კვიპროსი	76:70
რუმინეთი-შვეიცარია	68:59

გუნდი	თ	მ	ნ	ქ
1. რუმინეთი	3	3	0	6
2. შვეიცარია	3	2	1	5
3. ირლანდია	3	1	2	4
4. კვიპროსი	3	0	3	3

25 აგვისტო

კვიპროსი-რუმინეთი
ირლანდია-შვეიცარია

1 სექტემბერი

შვეიცარია-კვიპროსი
რუმინეთი-ირლანდია

5 სექტემბერი

კვიპროსი-ირლანდია
შვეიცარია-რუმინეთი

B ჯგუფი

სლოვაკეთი-ბრიტანეთი	73:62
ბელარუსი-პოლონეთი	61:74
ალბანეთი-ბელარუსი	73:78
პოლონეთი-სლოვაკეთი	71:63
სლოვაკეთი-ალბანეთი	101:88
ბრიტანეთი-პოლონეთი	63:39
ალბანეთი-ბრიტანეთი	69:72
ბელარუსი-სლოვაკეთი	82:59
ბრიტანეთი-ბელარუსი	68:69
პოლონეთი-ალბანეთი	94:55
პოლონეთი-ბელარუსი	77:72

გუნდი	თ	მ	ნ	ქ
1. პოლონეთი	5	4	1	9
2. ბელარუსი	5	3	2	8
3. ბრიტანეთი	4	2	2	6
4. სლოვაკეთი	4	2	2	6
5. ალბანეთი	4	0	4	4

21 აგვისტო

ბრიტანეთი-სლოვაკეთი

25 აგვისტო

ბელარუსი-ალბანეთი
სლოვაკეთი-პოლონეთი

29 აგვისტო

პოლონეთი-ბრიტანეთი
ალბანეთი-სლოვაკეთი

1 სექტემბერი

ბრიტანეთი-ალბანეთი
სლოვაკეთი-ბელარუსი

5 სექტემბერი

ბელარუსი-ბრიტანეთი
ალბანეთი-პოლონეთი

C ჯგუფი

ფინეთი-ავსტრია	87:50
საქართველო-ლუქსემბურგი	86:44

20:15, 27:11, 17:13, 22:5

საქართველო: გამყრელიძე (13 წთ. 2 ქ. 6 პ. 4 ჩ), ვ. ბოისა (17 წთ. 11 ქ), ა. ბოისა (15 წთ. 2 ქ), ფაჩულია (26 წთ. 7 ქ. 5 მ), ცინცაძე (22 წთ. 15 ქ. 3 პ), შერმადინი (4 წთ. 2 მ), ელისი (27 წთ. 12 ქ. 5 პ), მარკოიშვილი (25 წთ. 11 ქ), უგრეხელიძე (6 წთ. 4 ქ), ნაცვლიშვილი (11 წთ. 7 ქ. 5 მ), სანიკიძე (21 წთ. 6 ქ. 5 მ. 3 ჩ), ცქიტიშვილი (13 წთ. 7 ქ)

ლუქსემბურგი: შუმახერი (9 ქ. 9 პ), მელხიორი (1 ქ), ბახი (3 ქ), ფერეირა (5 ქ), პიკარდი (2 ქ), მ. რაინიაკი (19 ქ. 7 მ), ჯონსი (5 ქ. 11 მ)

ისლანდია-ფინეთი	86:93
ავსტრია-საქართველო	63:68

19:13, 22:13, 15:24, 7:18

ავსტრია: კოლიკი (7 ქ), შრეინერი (9 ქ), იადლი (8 ქ), ორტნერი (14 ქ. 8 მ), ჰუტერი (5 ქ), კოლმაიერი, ვოლშანკი, ლემესიჩი (3 ქ), ჰელმიგკი (5 ქ), ვოლჩიჩი (12 ქ)

საქართველო: გამყრელიძე (19 წთ. 2 ქ. 4 პ), ვ. ბოისა (33 წთ. 5 ქ), ა. ბოისა (10 წთ), ფაჩულია (35 წთ. 24 ქ. 7 მ. 2 დ), ცინცაძე (7 წთ), ელისი (37 წთ. 20 ქ. 5 მ. 5 პ), მარკოიშვილი (27 წთ. 9 ქ), სანიკიძე (21 წთ. 5 ქ. 6 მ), ცქიტიშვილი (11 წთ. 3 ქ), ნაცვლიშვილი (1 წთ)

საქართველო-ისლანდია	80:65

19:13, 19:14, 20:19, 22:19

საქართველო: გამყრელიძე (24 წთ. 3 ქ. 3 პ), ვ. ბოისა (26 წთ. 16 ქ. 7 მ), ა. ბოისა (12 წთ. 2 ქ. 3 ჩ), ფაჩულია (27 წთ. 21 ქ. 12 მ), ცინცაძე (18 წთ. 2 ქ), შერმადინი (2 წთ. 3 ქ), ელისი (26 წთ. 3 ქ. 5 მ), მარკოიშვილი (10 წთ. 3 ქ), უგრეხელიძე (2 წთ. 2 ქ), ნაცვლიშვილი (6 წთ. 4 ქ), სანიკიძე (25 წთ. 6 ქ. 7 მ), ცქიტიშვილი (22 წთ. 15 ქ. 9 მ)

ისლანდია: გუნარსონი (3 ქ), ფ. სტეფანსონი (4 ქ), სიგურდასონი (11 ქ), ჯ. სტეფანსონი (9 ქ), ბირმინგემი (22 ქ), ოლაფსონი (7 ქ), ბერინგსონი (2 ქ. 7 მ), მაგნუსონი (7 ქ. 6 მ), ჰაფსტეინსონი, იონასონი, ვილბერგსონი, გუნარსონი

ლუქსემბურგი-ავსტრია	62:64
ფინეთი-საქართველო	91:81

29:15, 25:21, 14:18, 23:27

ფინეთი: ნიიკილა (8 ქ), მუურინენი (4 ქ), ჰაფი (6 ქ), მატინენი (3 ქ), კოტი (8 ქ. 10 მ), კოპონენი (4 ქ), მოტოლა (11 ქ. 6 მ), ვირტანენი (27 ქ), რანიკო (20 ქ)

საქართველო: გამყრელიძე (27 წთ. 3 პ), ვ. ბოისა (33 წთ. 12 ქ. 7 მ), ა. ბოისა (9 წთ), ფაჩულია (32 წთ. 36 ქ. 13 მ), ცინცაძე (4 წთ), ელისი (32 წთ. 13 ქ), მარკოიშვილი (34 წთ. 16 ქ. 6 მ), ნაცვლიშვილი (1 წთ), სანიკიძე (9 წთ), ცქიტიშვილი (20 წთ. 4 ქ. 6 მ)

ისლანდია-ლუქსემბურგი	98:76
ავსტრია-ისლანდია	85:64
ლუქსემბურგი-ფინეთი	53:111

გუნდი	თ	მ	ნ	ქ
1. ფინეთი	4	4	0	8
2. საქართველო	4	3	1	7
3. ავსტრია	4	2	2	6
4. ისლანდია	4	1	3	5
5. ლუქსემბურგი	4	0	4	4

21 აგვისტო

21:30 ლუქსემბურგი-საქართველო
ავსტრია-ფინეთი

25 აგვისტო

19:00 საქართველო-ავსტრია
ფინეთი-ისლანდია

29 აგვისტო

23:15 ისლანდია-საქართველო
ავსტრია-ლუქსემბურგი

1 სექტემბერი

ლუქსემბურგი-ისლანდია

2 სექტემბერი

19:00 საქართველო-ფინეთი

5 სექტემბერი

ფინეთი-ლუქსემბურგი
ისლანდია-ავსტრია

ჩოგბურთი

მოვიცადოთ ერთი კვირაც

ლადო ჩიხლაძემ ზედიზედ მესამე ტიტული მოიგო, თუმცა გამარჯვებისთვის კუთვნილი 12 ქულა მას ჯერ არ დარიცხვია. ლადო კვლავ მსოფლიოს 407-ე ჩოგანია 77 ქულით. **ირაკლი ლაბაძე** 15 ქულით 823-ე პოზიციაზეა, ერთ კვირაში მან სამი ადგილი დაკარგა. 2 სარეიტინგო ქულა აქვს **ნოდარ ითონიშვილს**, რომელიც 1331-ე ადგილზეა. თითო ქულა აქვთ **გიორგი ხრიკაძესა** და **გიორგი ჭანტურიას** (1504).

ლადო ჩიხლაძე გერმანიის ქალაქ ვალშტედტში 10-ათასიან ტურნირში ითამაშებს. იქ საკმაოდ ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი, რაც ამ კატეგორიის ტურნირისთვის უცხოა. პირველ ნომრად განთესილი **იუალიან რაისტერი** მსოფლიოს 278-ე ჩოგანია. მეორე ნომერი **ტობიას ზუმერერი** კი - 281-ე. ჩიხლაძე მე-8 ნომრად განთესეს. პირველ წრეში მისი მეტოქე ცაცია ავსტრალიელი **კლინტონ ტომპსონია** (501).

გიორგი ხრიკაძე ბულგარეთში 10-ათასიანი ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში მე-6 ნომრად იყო განთესილი. პირველ წრეში გიორგი ისვენებდა, მეორეში მან იოლად აჯობა რუმინელ **კრისტიან ჩეპარუს** - 6:1, 6:2. ფინალურ წრეში კი თავად დამარცხდა უკრაინელ **მაქსიმ ბაკუნინთან** 3:6, 3:6. მართალია, ხრიკაძე ძირითად ბადეში ვერ მოხვდა, მაგრამ ბულგარულ ტურნირს ჯერ არ დამშვიდობებია, ებრაელ **ტომერ ჰოდროვთან** ერთად წყვილთა თანრიგის ტურნირში თამაშობს.

ქალთა რეიტინგში ერთი ადგილით დაწინაურდა **მაკა ჩახნაშვილი**, რომელიც 204 ქულით 159-ე ადგილზეა. **ანა ტატიშვილს** 86 ქულა აქვს, მას კვლავ 284-ე ადგილი უკავია მსოფლიო კლასიფიკაციაში. სხვა ქართველები: 556 (-2) **სალომე დევიძე** - 26 ქულა; 579 (+23) **სოფიო შაფათავა** - 25; 681 (-22) **სოფიო მელიქიშვილი** - 16; 717 (+1) **მანანა შაფაქიძე** - 14; 759 (-) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 12; 771 (-2) **ეკა გორგოძე** - 12; 948 (-2) **სოფიო ქვაცაბაია** - 7. ათასეულს მიღმა: 1035 (-5) **თინათინ ყავლაშვილი** - 5; 1058 (-6) **სალომე ჩაჩხუნაშვილი** - 4; 1217 (+7) **მარიამ ქურდაძე** - 2 და 1236 (+6) **თეონა ცერცვაძე** - 2. როგორც ხედავთ, სოფიო შაფათავამ კარიერის მორიგი რეკორდი დაამყარა.

შაფათავა მოსკოვის საერთაშორისო ტურნირში (25 ათასი დოლარი) საკვალიფიაციო ბადეში თამაშობს. პირველ წრეში მან მე-15 ნომრად განთესილ იტალიელ **ალის ბარდუჩის** (517) მოუგო - 6:3, 6:1. ახლა სოფიო რუს **ელიზავეტა ტოჩილოვსკაიას** (526) ხვდება. **მანანა შაფაქიძე**, ლადო ჩიხლაძესთან ერთად, გერმანულ ქალაქ ვალშტედტშია, სადაც ქალთა ტურნირიც მიმდინარეობს. პირველ წრეში შაფაქიძე მე-8 ნომრად განთესილ გერმანელ **ლაურა ჰაბერკორნს** (498) შეხვდება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჭიდაობა

ანტიკოსებით იწყება

დღეს, პეკინში იწყება ახალგაზრდა მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც "ანტიკოსთა" ტურნირით გაიხსნება. პირველები ჩვენგან **გიორგი გოგბერაშვილი** (50), **რევაზ ლაშხი** (60), **ბექა როყვა** (74) და **გენო ხელია** (96) იჭიდავებენ, ხვალ - **ლაშა გოგიტაძე** (55), **ანტონ მამაგეიშვილი** (66), **სერგო ნინუა** (84) და **დიმიტრი ჯავახიშვილი** (მძიმე).

ამ ბიჭებიდან ზოგიერთი უკვე ეროვნული ნაკრების წევრიცაა და პეკინში ყველაზე მეტად მათი გვეიმედება, თუმცა გუნდი ევროპირველობის მერე საგრძნობლად გადახალისდა. გუნდის თავკაცმა **ვლადიმერ ადეიშვილმა** ძველი შემადგენლობიდან სამი კაცი დატოვა. აქედან ორი კონტინენტის წლევანდელი პირველობის ბრინჯაოს პრიზიორია - გოგიტაძე და ნინუა, რომლებიც ზეგ იჭიდავებენ.

23-24 აგვისტოს ჩემპიონატში გოგოები ჩაებმებიან, სადაც ჩვენ მონაწილე არ გვეყოლება, 25-26 აგვისტო კი თავისუფალ ჭიდაობას დაეთმობა. ამ ნაკრების თავკაცმა **ნუგზარ სხირელმა** ჩინეთშიც ის შემადგენლობა წაიყვანა, რომელმაც ევროპირველობაზე იასპარეზა - ეს ორი მნიშვნელოვანი ტურნირი სულ რაღაც ერთთვიანი ინტერვალით ტარდება და დროის ასეთ მცირე მონაკვეთში მწვრთნელმა რადიკალური რეფორმები ვერ გარისკა.

ირაკლი თავაძე

ჭადრაკი

მჭედლიშვილის მეორე ადგილი

გერმანულ ქალაქ მაინცში დასრულდა დიდი საერთაშორისო ტურნირი სწრაფ ჭადრაკში "ორდიქს ოუფენი", რომელიც წლეულს მეთოთხმეტედ გაიმართა. სულ ტურნირში 762-მა მოჭადრაკემ ითამაშა. ქართველმა დიდოსტატმა **მიხეილ მჭედლიშვილმა** 11 შესაძლებლიდან 9,5 ქულა დაგროვა. ამდენივე ქულა მოიპოვეს ჩეხმა **დავიდ ნავარამ** და ინდოელმა **კრიშნან სასიკირანმა**. კოეფიციენტით პირველი ადგილი ჩეხ დიდოსტატს მიანიჭეს, მჭედლიშვილი კი მეორეზე გავიდა. იქვე სწრაფი ჭადრაკის მსოფლიო ჩემპიონატში ინდოელმა **ვიშვანათან ანანდმა** სომეხი **ლევონ არონიანი** დაამარცხა და ჩემპიონი გახდა.

ბოლო ტურში აზერბაიჯანელებთან

არაბმა გაერთიანებულ საამიროებში აბუ დაბის მე-17 საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი (21 ათასი დოლარი) დასასრულს უახლოვდება. ტურნირში ფავორიტების რანგში ჩაებნენ ქართველი დიდოსტატები **ბაადურ ჯობავა** (2644) და **ლევან ფანცულაია** (2611), რომელთაც მონაწილეთა შორის, შესაბამისად პირველი და მეორე რეიტინგი ჰქონდათ. მათ გარდა აბუ-დაბიში კიდევ ორი ქართველი დიდოსტატი მონაწილეობს **ზურაბ სტურუა** და **მიხეილ კეკელიძე**. ბოლო ტურის წინ 6,5 -6,5 ქულით სომეხი **ამოტ ანასტასიანი** და ეგვიპტელი **ამინ ბასემი** ლიდერობენ. ლევან ფანცულაიას 5,5 ქულა აქვს და ბოლო ტურში თეთრი ფიგურებით აზერბაიჯანელ **რასულ იბრაჰიმოვს** ხვდება. ბაადურ ჯობავას მხოლოდ 5 ქულა აქვს, ის თეთრებით აზერბაიჯანელ **ვასიფ დურარბეკლის** შეხვდება. ზურაბ სტურუა (5 ქულა) აზერბაიჯანელ **ელტაჯ საფარლის** ხვდება, ხოლო მიხეილ კეკელიძე (4) - ირანელ **ჰომაიონ ტუფიღის**.

შენგელია და არეშიძე ლიდერთა კვალში

ესპანურ ბანიოლესში მიმდინარეობს საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი, რომლის საპრიზო ფონდი 8 ათასი დოლარია. ოთხი ტურის შემდეგ მხოლოდ ორი მოჭადრაკეა ქულათა მაქსიმუმით: ფრანგი **სებასტიენ ფელერი** და ინდოელი **დიპ სანგუტა**. ეს მოჭადრაკეები მეხუთე ტურში ერთმანეთს შეხვდებიან. **დავით შენგელიას** 3,5 ქულა აქვს, ის შავი ფიგურებით ესპანელ **ხორდი ფლუვიას** ხვდება. **ლევან არეშიძესაც** 3,5 ქულა აქვს, ის თეთრი ფერის ფიგურებით ბანიოლესის საჭადრაკო ფესტივალის გამარჯვებულს, უკრაინელ **ვიქტორ მოსკალენკოს** დაუპირისპირდება. **სოფიო ნიკოლაძეს** 3 ქულა აქვს, **ანა მათნაძეს** - 2,5.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ᲰᲝᲙᲔᲘ

ᲘᲐᲒᲠᲘ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲧᲕᲐᲜᲯᲘ

"ᲜᲘᲣ ᲘᲝᲠᲙ ᲠᲔᲘᲜᲯᲔᲠᲡᲘᲡ" ფორვარდი **იარომირ იაგრი** კარიერაში მერვედ დაასახელეს ჩეხეთის ნლის საუკეთესო ჰოკეისტად. იაგრი "ოქროს ყვანჯით" შაბათს, პრაღაში გამართულ საზეიმო ცერემონიალზე დააჯილდოვეს.

ჟურნალისტებს შორის ჩატარებულ გამოკითხვაში იარომირმა დიდი უპირატესობით აჯობა თავის თანაგუნდელს, **მარტინ სტრაკას**, რომელმაც გასულ კვირას ტრავმირებულ მუხლზე ოპერაცია გაიკეთა. საუკეთესო ჰოკეისტის ნომინაციაში მესამე ადგილზე გავიდა "დეტროიტ რედ უინგზის" ლეგენდარული მეკარე **დომინიკ ჰაშეკი**.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲜᲝᲕᲘᲪᲙᲘᲗ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲝᲠᲯᲔᲠ ᲛᲝᲣᲒᲝ

ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ ჩემპიონატისთვის მზადებას აგრძელებს გერმანიის ნაკრები, რომლის რიგებში NBA-ის ვარსკვლავი **დირკ ნოვიცკი** ირიცხება. გასულ უიქ ენდზე, გერმანელებმა ორი საკონტროლო შეხვედრა გამართეს ჩინეთის ნაკრებთან და ორივეში გაიმარჯვეს - 88:55 და 76:71.

"დალას მავერიქსის" ლიდერი ორივე შემთხვევაში საუკეთესო იყო მოედანზე. პირველ მატჩში დირკმა 17 ქულა დააგროვა, მეორეში კი, 30 ქულით გამოიჩინა თავი.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲗᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲒᲐᲐᲑᲐᲮᲐ

ᲔᲕᲠᲝᲑᲐᲡᲙᲐᲠᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ მზადების მორიგი ეტაპი დაასრულა საფრანგეთის ნაკრებმა. პარიზში ოთხთა ტურნირი გაიმართა, სადაც მასპინძელთა გუნდმა ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა ჩეხეთის, პორტუგალიისა და რუსეთის ნაკრებები.

ბოლო მატჩი ფინალის ტოლფასი გამოდგა. ფრანგებსა და რუსებს 2-2 გამარჯვება ჰქონდათ და მათ შორის მოგებული პირველ ადგილზე გადიოდა. მასპინძლებმა რუსეთის ნაკრებს შავი დღე აყარეს. მათ პირველივე მეოთხედში (28:9) მოიპოვეს უდიდესი უპირატესობა და საბოლოოდ მეტოქე 36 ქულით (92:56) გაანადგურეს.

ფრანგების რიგებში ერთბაშად ექვსმა კალათბურთელმა შეძლო 10 ან მეტი ქულის მოპოვება: **მორანდე** (16 ქულა), **ფერშო** (15), **გომისი** (12), **პარკერი** (12+6 მოხსნა), **პიეტრუსი** (11), **დიაო** (10+7 მოხსნა). რუსთა შემადგენლობაში 11 ქულით "იუტას" ფორვარდი **ანდრეი კირილენკო** გამოირჩა.

ᲑᲔᲜᲔᲢᲝᲜᲘ ᲓᲔᲜᲕᲔᲠᲘᲡ ᲤᲝᲠᲕᲐᲠᲓᲘᲗ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲓᲐ

დამდეგი სეზონის წინათ მნიშვნელოვანი შევსება მიიღო ტრევიზოს "ბენეტონმა". იტალიურმა კლუბმა "დენვერ ნაგეტსის" ყოფილი ფორვარდი **დემარ ჯონსონი** დაიმატა. სავარაუდოდ, ახალწვეული "ბენეტონის" სასტარტო ხუთეულში მსუბუქი ფორვარდის ადგილს დაიკავებს.

NBA-ის შარშანდელ რეგულარულ ჩემპიონატში ჯონსონმა 39-ჯერ დაიცვა "დენვერის" ღირსება. მისმა სტატისტიკურმა მონაგარმა 3.5 ქულა და 1.5 მოხსნა შეადგინა.

ᲡᲞᲐᲜᲣᲚᲘᲡᲛᲐ ᲞᲐᲜᲐᲗᲘᲜᲐᲘᲙᲝᲡᲘ ᲐᲘᲠᲩᲘᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜ, ბერძენმა მცველმა **ვასილის სპანულისმა** თავისუფალი აგენტის სტატუსი მიიღო და ერთი საათის შემდეგ, ათენის "პანათინაიკოსთან" გააფორმა კონტრაქტი. ხელშეკრულება სამწლიანია და ამ დროის განმავლობაში სპანულისი 5 მილიონ ევროს მიიღებს. კონტრაქტის მიხედვით, ახალ სეზონში ეს მცველი "პაოს" ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოთამაშე იქნება.

შეგახსენებთ, რომ შარშან სპანულისი NBA-ში "ჰიუსტონ როკეტსის" ღირსებას იცავდა. ოკეანის გაღმა ბერძენის კარიერა არ აეწყო - მან რეგულარულში მხოლოდ 31 მატჩი ჩაატარა, მოედანზე საშუალოდ 8.8 წუთს იმყოფებოდა და 2.7 ქულას აგროვებდა.

ᲪᲘᲑᲝᲜᲐᲛ ᲐᲘᲣᲡᲝ ᲐᲘᲧᲕᲐᲜᲐ

ᲐᲛ დღეებში ორი გარიგება განახორციელა ზაგრების "ციბონამ". გუშინ, ხორვატულმა კლუბმა ცნობილი პუერტორიკოელი მცველი, **ლარი აიუსო** (190 სმ) დაიმატა. ეს უკანასკნელი შარშან ასევე ხორვატიის ლიგაში, "სპლიტის" შემადგენლობაში თამაშობდა, მანამდე კი, ევროლიგაზე კაუნასის "უალგირისს" ეხმარებოდა. ლიტვურ გუნდში ლარი საშუალოდ 10.3 ქულას იხვეჭდა.

გარდა აიუსოს გადაბირებისა, "ციბონამ" ამერიკელი **კრის უორენის** (196 სმ) შენარჩუნება შეძლო. გასულ სეზონში, უორენი ხორვატთა ერთ-ერთი ლიდერი იყო - ევროლიგის მატჩებში მისი მონაგარი 13. ქულასა და 4.9 მოხსნას შეადგენდა.

ᲐᲕᲢᲝᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲨᲣᲛᲐᲮᲔᲠᲛᲐ ᲒᲣᲜᲓᲘ ᲘᲧᲘᲓᲐ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ შვიდგზის ჩემპიონმა **მიხაელ შუმახერმა** კარტინგის გუნდის აქციათა პაკეტი შეიძინა. ეს საჯინიბო ძმები შუმახერების მშობლიური ქალაქის, კერპენის ახლოს არის დაბანაკებული.

ადრე, გუნდი ლეგენდარული გერმანელის მეგობარს, **პეტერ კაიზერს** ეკუთვნოდა. ახლა კი, მიხაელმა აქციათა ნახევარი შეიძინა, ხოლო საჯინიბომ ახალი სახელწოდება მიიღო - KSM Official Racing Team (მფლობელთა გვარების პირველი ასოები).

შუმახერის მთავარი ამოცანა დამწყები მრბოლელებისთვის კარტის მანქანის მართვის შესწავლა იქნება. *"კარტინგისადმი სიყვარული ცხოვრების ბოლომდე გამყვება"*, - მოჰყავს მიხაელის სიტყვები "ევროსპორტს".

ᲓᲝᲠᲜᲑᲝᲡᲘ ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐᲡ ᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ?

"რედ ბულის" ყოფილი პილოტი, ჰოლანდიელი **რობერტ დორნბოსი** ფორმულა 1-ში დაბრუნებას არ გამორიცხავს. ავტომრბოლმა უარი შეუთვალა "სპაიკერს", თუმცა მოლაპარაკებებს აწარმოებს "ტოიოტასთან" და "უილიამსთან".

დორნბოსის მენეჯერის, წარსულში რალის ლეგენდარულ პილოტ **კრისტიან გეისტდორფერის** სიტყვებით, ფორმულა 1-ის გუნდების მხრიდან ჰოლანდიელი პილოტისადმი ინტერესი, რობერტის Champ Car-ის სერიაში წარმატებულმა გამოსვლამ განაპირობა.

როგორც გეისტდორფერი აცხადებს, ჰოლანდიელის ფორმულაში დაბრუნების საკითხი უახლოესი ერთი თვის განმავლობაში გაირკვევა.

ᲪᲣᲠᲕᲐ

ᲤᲔᲚᲞᲡᲘ ᲘᲐ�პᲝᲜᲘᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲓᲘᲡ

ᲛᲔᲚᲑᲣᲠᲜᲘᲡ მსოფლიო პირველობაზე შვიდჯერ გაჩემპიონებულმა **მაიკლ ფელპსმა** იაპონიაში გასამართ საერთაშორისო ტურნირზე გამგზავრება გადაიფიქრა.

ეს შეჯიბრება 21-24 აგვისტოს ქალაქ ჩიბაში ჩატარდება და ამერიკელი მოცურავე იქ 100 მეტრზე ბატერფლაისა და 200 მეტრზე კომპლექსური ცურვის განაცხადებში იყო შეყვანილი.

ტურნირის ორგანიზატორების თქმით, მათ არაფერი იციან ფელპსის უარის მიზეზების შესახებ.

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲚᲔᲑᲠᲝᲜ ᲯᲔᲘᲛᲡᲗᲐᲜ

ᲑᲔᲕᲠᲘ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲐ?

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ნაკრები სულ მალე მომდევნო ოლიმპიური თამაშების შესარჩევ ციკლში ჩაერთვება და თუ გავითვალისწინებთ, რომ არგენტინას თავისი თანავარსკვლავედიდან თითქმის არავინ ეყოლება, მაიკ კრუიჟევსკის ნაკრები ტურნირის აშკარა ფავორიტია. ამერიკელებმა, როგორც იქნა, ნაკრებში თამაშზე კობი ბრაიანტი დაიყოლიეს, რომელიც ლებრონ ჯეიმსთან და კარმელო ენტონისთან ერთად ჯერ კიდევ "ოცნების გუნდად" წოდებული თანავარსკვლავედის კაპიტანი იქნება. ჩვენი საინფორმაციო პარტნიორის, "სლემის" ჟურნალისტი ამჯერად ლებრონთან ინტერვიუს გვთავაზობს.

- გუნდი კირკ ჰაინრიხმა და კრის ბოშმა დატოვეს. რამდენად სერიოზული დანაკლისია და საერთოდ, რაზე კეთდება აქცენტი ამ ნაკრებში?

- ბოშმა ტრავმა მიიღო და თამაშს ვინ ჩივის, ვარჯიშის გაგრძელებაც კი აღარ შეეძლო. რაც შეეხება კირკს, მან თავისი ტრავმის შესახებ ერთ-ერთი ვარჯიშის შემდეგ ამცნო სამწვრთნელო შტაბს, თუმცა სიმართლე გითხრათ, იმ ვარჯიშზე ჰაინრიხს ტრავმირებულის არაფერი ეტყობოდა. ნებისმიერ შემთხვევაში, ამერიკას უძლიერესი გუნდი ეყოლება. აქცენტი მხოლოდ შეთამაშებაზე კეთდება, რადგან ასეთი შემადგენლობით პრობლემა არავისთან უნდა შეგვექმნას.

- საქმეს ისიც გიიოლებთ, რომ არგენტინას არ ეყოლება ჯინობილი, სკოლა და ობერტო.

- ეს არგენტინის პრობლემაა. კი, ამ სამი მოთამაშით ეს გუნდი გაცილებით სახიფათო იქნებოდა, მაგრამ გადახედეთ ჩვენს შემადგენლობას და გულახდილად გვითხარით, თუნდაც უძლიერესი შემადგენლობით, ექნებოდა თუ არა ამერიკის დამარცხების შანსი არგენტინას?

- წინა დიდ ტურნირზე ამერიკამ ვერაფერი მოუხერხა ზონურ დაცვას. მუშაობთ თუ არა ამ დაცვითი ვარიანტის დაშლაზე?

- უბრალოდ, საბერძნეთთან ნახევარფინალში სამიანები არ წაგვივიდა. მოგებული თამაში წავაგეთ. ფინალში ესპანეთს, ან თუნდაც არგენტინას ჩვენთან არანაირი შანსი არ ექნებოდა, მაგრამ საბერძნეთს გაუმართლა, ჩვენ კი - არა.

- ფილ ჯექსონმა გამოთქვა აზრი, რომ ამერიკას დიდ საერთაშორისო ტურნირებზე 3-4 ვარსკვლავიც ეყოფოდა, შემადგენლობის დარჩენილი ნაწილი კი საკოლეჯო დონის მოთამაშეებით უნდა შევსებულიყო. ეთანხმებით თუ არა ამ მოსაზრებას?

- არა მგონია, რომ ბევრი ვარსკვლავი დიდი პრობლემა იყოს, თუმცა ფილ ჯექსონის აზრს პატივს ვცემ და ვერც იმას ვიტყვი, რომ ეს სპეციალისტი ცდება. ვარსკვლავების არყოლა სხვებისთვის თუ მოტივაციის გაზრდაა, საპირისპირო შემთხვევაში, ბევრ ძლიერ მოთამაშეს ერთმანეთთან საერთო ენის გამონახვის სურვილიც უჩნდება და ვერც ამაში ვხედავ რაიმე ცუდს. გუნდი, სადაც სასტარტო ხუთეულში კობი ბრაიანტი, კარმელო ენტონი, ამარე სტაუდმაიერი და ლებრონ ჯეიმსი არიან, არ უნდა ფიქრობდეს იმაზე, რომ მეტოქე მას ზონური დაცვით სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის:

- გავიხსენოთ ფინალი "სან ანტონიოსთან", სადაც თქვენს გუნდს "ევროპული" დაცვის წინააღმდეგ თამაში მოუხდა. "კლივლენდს" სერიოზული პრობლემები შეექმნა.

- "სან ანტონიო" ნებისმიერ დაცვას ძალიან კარგად აყენებს და ჩვენი მთავარი პრობლემა შეტევაში უამრავი შეცდომის დაშვება იყო. ეს კი მხოლოდ და მხოლოდ, ასეთ დონეზე გამოუცდელობის ბრალია. ასე რომ, დარწმუნებული ვარ, მომდევნო ოლიმპიადაზე სტატუს-კვო აღდგება და ამერიკა კვლავ პლანეტის უძლიერესი საკალათბურთო ნაციის ტიტულს დაიბრუნებს.

- ვინ იქნება თქვენი მთავარი კონკურენტი?

- ოლიმპიადაზე? მგონი, ჯერ ცოტა ადრეა ამაზე საუბარი.

- არა, დამდეგ შესარჩევ ციკლში.

- კონკურენტი არ გვეყოლება. ვეცდებით, ეს ტურნირი შეთამაშებისთვის გამოვიყენოთ და ამასთან ერთად, ლამაზი, ეფექტური კალათბურთი ვაჩვენოთ.

- როგორია კობი ბრაიანტთან ერთად თამაში?

- ხშირად უთქვამთ, რომ კობის რეგრესი დაეტყო და ძველებურად ეფექტური ვეღარ არის. ეს სისულელეა. ვერც მე და ვერც რომელიმე სხვა მოთამაშე მასთან ახლოს ვერ მივა. ბრაიანტი ყველაზე მდიდარ არსენალს ფლობს და თავის შესაძლებლობებს ბოლომდე იყენებს. იგი ამ გუნდის აშკარა ლიდერია და ეს არავის უნდა ეწყინოს.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ



ლებრონ ჯეიმსი

ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲒᲐᲩᲘᲩᲘᲚᲐᲫᲔ

ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ
ᲞᲐᲐᲢᲐ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲩᲘᲮᲚᲐᲫᲔ
ᲒᲘᲐ ᲗᲘᲗᲐᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ
ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲔᲠᲔᲨᲐᲠᲘᲫᲔ
ᲞᲐᲐᲢᲐ ᲗᲝᲗᲝᲠᲐᲫᲔ
ᲛᲔᲠᲐᲑ ᲛᲐᲛᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲪᲐᲑᲐᲫᲔ
ᲚᲔᲕᲐᲜ ᲯᲐᲜᲔᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲒᲘᲐ ᲑᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲫᲘᲚᲐᲫᲔ
ᲘᲠᲐᲚᲘ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ
ᲕᲐᲟᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲖᲕᲘᲐᲓ ᲨᲐᲗᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲙᲝᲒᲐ ᲑᲐᲢᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲒᲔᲚᲘᲙ ᲯᲐᲜᲒᲐᲕᲐᲫᲔ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ
ᲨᲐᲚᲐᲕᲐ ᲒᲘᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲒᲝᲗᲤᲠᲘᲓ ᲚᲔᲜᲪᲘ
ᲘᲚᲘᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲛᲔᲠᲐᲑ ᲚᲝᲠᲗᲫᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲩᲣᲒᲘᲜᲘᲫᲔ
ᲖᲣᲠᲐᲑ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ

ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ:
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲝᲩᲮᲠᲘᲫᲔ, ᲕᲐᲡᲘᲚ ᲑᲐᲚᲐᲮᲐᲫᲔ, ᲛᲔᲠᲐᲑ ᲑᲠᲓᲔᲚᲘᲫᲔ, ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲫᲐᲜᲗᲐᲠᲘᲐ, ᲘᲠᲐᲚᲘ ᲓᲐᲠᲪᲛᲔᲚᲘᲫᲔ, ᲜᲘᲙᲝ ᲕᲐᲧᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲤᲝᲢᲝ
ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲙᲝᲩᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲡᲣᲐᲠᲘᲫᲔ

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲯᲐᲕᲨᲘ

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ:
ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲐᲙᲘᲛᲝᲕᲐ, ᲛᲖᲘᲐ ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲐᲫᲔ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲨᲐᲚᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲙᲝᲒᲐ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲝᲠᲐ
ᲚᲔᲚᲐ ᲮᲝᲛᲐᲡᲣᲠᲘᲫᲔ
ᲚᲔᲕᲐᲜ ᲒᲘᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ:
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲕᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ (ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ), ᲒᲘᲕᲘ ᲕᲔᲨᲐᲕᲘᲫᲔ, ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲓᲘᲓᲒᲐᲠᲘᲫᲔ

ᲛᲐᲠᲙᲔᲢᲘᲜ�გᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ
ᲗᲘᲛᲐᲠ ᲯᲘᲯᲘᲚᲐᲕᲐ (ტ: 46 34 48)
ᲒᲐᲫᲐᲠ ᲒᲐᲩᲘᲩᲘᲚᲐᲫᲔ (ტ: 899 91 87 17)

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ 1934 ᲬᲚᲘᲡ 13 Ა�პᲠᲘᲚᲘᲡ �თᲑᲘᲚᲘᲡᲘᲨᲘ, ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲘᲗ "ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲚᲢᲣᲠᲔᲚᲘ". 1936-39 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲔᲠᲥᲕᲐ "ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲚᲢᲣᲠᲔᲚᲘ", "ᲚᲔᲚᲝᲛᲓᲔ" ᲓᲐᲘᲑᲭᲓᲐ 362 ᲜᲝᲛᲔᲠᲘ. 1949 ᲬᲚᲘᲡ 10 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲐᲦᲐᲓᲒᲘᲜᲐ ᲛᲘᲰᲘᲚ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔᲛ.

2006 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲓᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ "ᲡᲞᲝᲠᲢᲗᲐᲜ".

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲝᲓᲐ 2002-06 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ.

ᲚᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
ᲛᲘᲰᲔᲘᲚ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ (1949-52, 64-76)
ᲔᲠᲔᲛᲘ ᲛᲐᲮᲐᲗᲐᲫᲔ (1952-53)
ᲘᲠᲐᲚᲘ ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐ (1953-64)
ᲐᲜᲖᲝᲠ ᲑᲐᲡᲘᲚᲐᲘᲐ (1976-83)
ᲐᲠᲩᲘᲚ ᲒᲝᲒᲔᲚᲘᲐ (1984-85)
ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲒᲐᲩᲘᲩᲘᲚᲐᲫᲔ (1985-ᲓᲐᲜ)

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ: ᲨᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲚᲔᲚᲝ, ᲨᲡ ᲡᲞᲝᲠᲗᲛᲔᲓᲘᲐ

ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲘ: ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲝᲚᲘᲛ�პᲘᲣᲠᲘ ᲤᲝᲜᲓᲘ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ
ᲐᲮᲛᲔᲢᲔᲚᲘᲡ 10Ა,
0159 ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ
(ᲓᲘᲚᲝᲛᲘ, ᲐᲮ. ᲙᲘᲜᲝᲡᲢᲣᲓᲘᲐ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ);
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (ᲛᲗ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ). 53-39-11
ᲤᲐᲥᲡᲘ: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66435 INDEX

ᲒᲐᲛᲝᲚᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ. ᲒᲐᲠᲓᲐ ᲙᲕᲘᲠᲘᲡᲐ